# თავისუფალი საქართველო

№7

31 მარტი - 6 აპრილი 1995 წ.

ინდექსი 66421

ფასი 700 რუბლის შესაბამისი კუპონი

გაზეთი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● რედაქტორის სვეტი.

31 მარტი - დღე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და საქართველოს ისტორიაში პირველი რეფერენდუმისა, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, ქართველმა და არაქართველმა, დადებითი პასუხი გასცა ერისა და ქვეყნისთვის უმთავრეს კითხვას - სურს თუ არა საქართველო იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დღე, რომელმაც, ხალხის ნების თანახმად, სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების ახალ ეტაპს. 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და დიდი გლოვის დღე დიდ ზეიმად გარდაისახა.

რა ბედნიერები, ლამაზები, კეთილშობილები ვიყავით მაშინ! აღარ გვახსოვდა იმათი ღვარძლიანი ყიჟინა, ვინც ამ რეფერენდუმს საბჭოურად მიიჩნევდა და მისი ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, ვინც დამოუკიდებლობის გამოცხადებას კრემლის სცენარის აღსრულებად ნათლავდა. ვზეიმობდით და მათაც ვიწვევდით ამ ზეიმზე. იმ წუთში ვერავინ გრძნობდა საფრთხეს, იქნებ მხოლოდ ჩვენი სიხარულის შემყურე ცა და მიწა - იდუმალ ფიქრებში გარინდებულნი.

გავიდა ოთხი ზამთარი - ავდრიანი, ცეცხლოვანი, ცრემლიანი და ცივი. გავიდა ოთხი ბნელი წელიწადი. გაცამტვერებულია ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც ალამაზებდა და აკეთილშობილებდა ამ მიწას. დაგლეჯილია ქვეყნის სხეული, მიწიდან აყრილია ერი, შერყვნილია მისი ღირსება, ცეცხლს მისცეს ქალაქები, სოფლები, მტერს დაურიგეს ხალხის სიმდიდრე, თავად კი ურჯულო მომხდურებს ნათლავენ წმინდა ადგილებში, სიკვდილის იარაღის საჯირითო მოედნად აქციეს საქართველო.

მაგრამ სამყაროს თავისი კანონები აქვს:

იმ გასხივოსნებულ დღეთა მესაფლავეებს მათთვის დათქმული რიგის თანახმად სპობს მათივე მოტანილი მკაცრი დროება. ჭეშმარიტებას ნაცარს აყრიან, მაგრამ მისი ღვთიური მადლი მაინც იკვლევს გზას და სინათლეს დანატრებულთა თვალებში ელვარებს. ამ სისასტიკისა და სიცრუის ჟამსაც არ ძალუძს საბოლოოდ დაამარცხოს ადამიანში შეგნება თუ შეგრძნება სიყვარულის, მეგობრობრობის, ღირსების, ვაჟკაცობის უძლეველობისა; იმედი სამშობლოს გაბრწყინებისა, ბოროტების ძლევისა.

თუ მოვინდომებთ - შევძლებთ, და აღსრულდება!

## "ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს..."

ა. წ. 7 მარტს ე. წ. სამხედრო საბჭოს მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. საქართველოში მისი ჩამოსვლა იმპერიის ცენტრის შემდგომი ინსტრუქციების განხორციელებას ისახავს მიზნად, რაშიც მას დიდად დაეხმარება ყოფილი კომუნისტური პარტოკრატია და მაფია, კრიმინალური სამყარო, ყოველი ჯურის მოღალატენი და საქართველოს მტრები. მიზანი ასეთია: საქართველოს ხელახალი ანექსია იმპერიის საოკუპაციო ჯარების დახმარებით, საქართველოში ტერორისტული, ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება, ეროვნული მოძრაობის განადგურება, მთელი ძალაუფლების მოქცევა ისევ პარტოკრატიისა და მაფიის ხელში. საქართველოს კვლავ დაბრუნება რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში, მისი შეყვანა ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ცხადია აგრეთვე, რომ "დემოკრატ" შევარდნაძეს განზრახული აქვს საქართველოში ხელისუფლების უზურპაცია...

1992 წლის 12 მარტი
*"ქართული აზრი", N9, 20.03.92*

დაგომისში 24 ივნისს შედგა შეხვედრა შევარდნაძის და ელცინისა, რასაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრას უწოდებენ, მაგრამ აშკარაა, რომ ეს იყო ოთხმხრივი შეხვედრა, ვინაიდან მას ესწრებოდნენ ე. წ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის დელეგაციები. ამით შევარდნაძემ ფაქტობრივად სცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში, თუმც ოფიციალურად განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. დაგომისის შეხვედრის მნიშვნელოვანი შედეგი იყო აგრეთვე ის, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს კონფლიქტის მონაწილეთა ე. წ. დაშორიშორების ერთიანი ძალების შექმნის შესახებ. თუ რა ეროვნების ჯარისკაცები იქნება ამ ძალებში, ყველასთვის ცხადია. საქმე ეხება რუსეთის ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში, რომელმაც უნდა ვითომდაც "დააშორიშოროს ქართული და ოსური მებრძოლი რაზმები". თუ სად მიუჩენენ ადგილს ქართველ მებრძოლებს და ქართულ მოსახლეობას, იოლი მისახვედრია. ეს ადგილია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთი საზღვარი გორის რაიონთან, რომლის ჩრდილოეთით ქართველი კაცის ჭაჭანება აღარ იქნება. სამაჩაბლოს ყველა ქართული სოფელი განწირულია დასაცლელად, ამოსაწყვეტად, ხოლო ოსების უსაფრთხოებას დაიცავს რუსეთის ჯარი, რომელიც დააბრუნებს 150 ათას ოსს შიდა ქართლში.

1992 წლის 26 ივლისი
*"ქართული აზრი", N27, 06.08.92*

იმპერიულმა ნეოკომუნისტურმა ხუნტამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა აფხაზეთში კვლავ გაღვივდეს



ლაზარეს აღდგინება იოანე - ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას, მარტო ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე.ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე -ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას.

**ზვიად გამსახურდია**

"საქართველოს სულიერი მისსია"
1990 წელი.

ეთნოკონფლიქტი. მან მოსკოვის დავალებით "გააუქმა" საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, რამაც საბაბი მისცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გაეძლიერებინა სეპარატისტული კურსი და ქართული ეროვნების კადრების დისკრიმინაცია... მის მიერ ანტიკონსტიტუციური აქტების მიღება უპასუხისმგებლო მოქმედებაა, რამაც შეიძლება ეთნოკონფლიქტამდე მიგვიყვანოს, რაც აწყობს როგორც თბილისის ხუნტას, ასევე მოსკოვის იმპერიას.

1992 წლის 14 მაისი
*"აღდგომა", N3, 17.05.92*

შევარდნაძის ნეოსტალინისტური, მაფიოზური ხუნტა ყოველნაირად ცდილობს ეროვნული და კუთხური შუღლის გაღვივებას, სისხლისღვრისა და დესტაბილიზაციის პროვოცირებას აფხაზეთში და მთელს საქართველოში. აფხაზეთში მათი მიზანია კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა განადგურება, აფხაზთა და ქართველთა შორის ეთნოკონფლიქტის პროვოცირება, რაც არასგზით არ უნდა დავუშვათ.

1992 წლის 12 ივლისი
*"ქართული აზრი", N27, 06.08.92*

მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ არსებობს შევარდნაძის სისხლიანი, ფაშისტური რეჟიმი, აფხაზეთში კონფლიქტი უფრო გამწვავდება და მიიღებს უმძაფრეს ფორმებს.

1992 წლის 5 სექტემბერი
*"აღდგომა", N17, 13.09.92*

ნუთუ ვერ ხედავთ როგორ ყიდის ხუნტა ყოველ ნაბიჯზე საქართველოს ინტერესებს? ნუთუ ვერ ხედავთ კრემლის მაფიოზის შევარდნაძის მუცელზე ხოხვას იმპერიის წინაშე? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ "გერმანიის გამაერთიანებელი" საქართველოში მოავლინეს, რათა გააერთიანოს "ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი"? ნუთუ არ გებადებათ კითხვა: რატომ ვერ გაბედეს ე. წ. სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ჩატარება ჩემი მმართველობის პერიოდში? რატომ ვერ გაბედეს ჩემს დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე? ვინ და რატომ გაათავისუფლა ციხიდან ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი კულუმბეგოვი? ვისი განმგებლობის დროს შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რომელსაც მოლაპარაკებას ეხვეწება ცრუ მთავრობა და მისი ვაი-ემისრები.

**მიმართვიდან გვარდიისადმი**
*1992 წლის 12 ივნისი*
*"აღდგომა", N7, 14.06.92*

**ა. წ. 20 მარტს საქართველოსა და რუსეთის სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელებმა - პაველ გრაჩოვმა და ვარდიკო ნადიბაიძემ ხელი მოაწერეს 25 წლიანი ხელშეკრულების პროექტს "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ". ამდენად, საქართველოს რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცესთან შერწყმის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.**

**ხელშეკრულება შედგება შესავალი ნაწილისა და 41 მუხლისგან, თან ერთვის ორი დანართი და საქართველოს მხარის განსაკუთრებული აზრი, რომელშიც გათამაშებულია ხელშეკრულების "მთავარი კოზირი" - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, რაც, ოფიციოზის აზრით, ამ გარიგების წყალობით რეალობად იქცევა.**

# რუსეთ - საქართველოს სამხედრო გარიგება - წინ, საბჭოთა კავშირისკენ!

### ბაზები ტერიტორიების სანაცვლოდ

ვ. ნადიბაიძის მიერ ხელმოწერილი შენიშვნა ხელშეკრულების პარაფირების წესის თაობაზე გვამცნობს:

"საქართველოს მხარე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერას სახელმწიფოს მეთაურის მიერ და მის რატიფიცირებას შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის აღდგენისა (იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტები ხელს უშლის ხელშეკრულების დებულებათა შესრულებას) და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განსაზღვრის შემდეგ.

გამომდინარე მოლაპარაკებების მსვლელობისას მიღწეული ურთიერთგაგებიდან, საქართველოს მხარე სვამს საკითხს იმ შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განადგურების შესახებ, რომელიც არ ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე."

ცხადია, ეს შენიშვნა დოკუმენტს დართული აქვს სწორედ იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ ხელმოწერა შედგება მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შემდეგ. შევარდნაძის კომენტარებიც თითქოსდა ამავე იმედებს აღძრავს, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, იგი უფრო სხვაგვარად სვამს საკითხს:

- "ეს დოკუმენტი დაგვეხმარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებაში".

ნიშნავს თუ არა ეს, რომ პირველადი აქტი იქნება საქართველოს მოწყვეტილი ტერიტორიების დაბრუნება, თუ პირიქით, ჯერ - ხელშეკრულება, შემდეგ - სამაჩაბლო და აფხაზეთი?!

"ტაიმ აუტის" საკვირაო გამოშვებაში შევარდნაძემ სულ აურია გზა-კვალი გაურკვევლობით გაბრუებულ მაყურებელს. პირველი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად ღირსებად მან დაასახელა რუსეთ-საქართველოს საზღვრის გამაგრება: "იქიდან ჩვენ საფრთხე აღარ გვემუქრება". ცხადია, იგი გულისხმობდა არა რუსებს, რომლებიც თვითონვე შემოიპატიჟა მათივე შეიარაღებითურთ, არამედ ჩეჩნებად წოდებულ კონფედერატებს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ნუთუ ასეთი მიამიტია "დიდი პოლიტიკოსი", რომ ჰგონია რუსეთს აქამდე არ შეეძლო აელაგმა შანიბოვის კამპანია, ან თუკი დასჭირდება ხელახალი შემოსევის მოწყობა, ეს ხელშეკრულება დააბრკოლებს? განა დაიცვა გაგრა 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებამ, ან სოხუმი 1993 წლის 27 ივლისის კაპიტულანტურმა გარიგებამ?

ასეა თუ ისე, შევარდნაძე და მისი პირით რუსეთი უკვე მერამდენედ გვპირდება ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დათმობის ფასად.

### საბაზო სუვერენიზაცია

სრულიად გამაოგნებელი იყო შევარდნაძის მეორე, "გლობისტური" პროგნოზი: "მსოფლიოში ისე იცვლება ყველაფერი, ისე სწრაფად მიდის ევროპის ინტეგრაციის პროცესი, რომ მალე შეიძლება რუსეთი თვითონ აღმოჩნდეს ინტეგრირებული ევროპასთან, თვითონვე შევიდეს "ნატო"-ში. მაშინ ეს 25 წლიანი ხელშეკრულება საერთოდ დაკარგავს ძალას, მაგრამ ჩვენ მაინც დავიზღვიოთ თავი..."

რამდენ სარწმუნოა ეს წინასწარმეტყველება, ამაზე ნათლად მეტყველებს რუსეთის მზარდი სამხედრო აგრესიულობა, რისი დასტურიცაა თუნდაც ბოლო ხანებში აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენები, აგრეთვე რუსეთსა და სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულება ბაზების შესახებ და წინამდებარე დოკუმენტი, რომლის მთელ რიგ მუხლებში დაუფარავადაა გაცხადებული პრიორიტეტული მიმართულება - სსრკ-ს დროინდელი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციის აღდგენა.

ასეც რომ არ იყოს, თავის დასაზღვევად განსაზღვრულია ძალზე ხანგრძლივი დრო - 25 წელი, მითითებით, რომ ეს ვადა "ავტომატურად გრძელდება მომდევნო 5-წლიანი პერიოდით, თუკი რომელიმე მხარე მომდევნო პერიოდის დასრულებამდე ორი წლით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეაჩეროს მისი მოქმედება".

ხელშეკრულების თანახმად (მუხლი 2), ბაზები განლაგდება ოთხ ქალაქში - ბათუმი, ახალქალაქი, ვაზიანი, გუდაუთა; ხოლო მათი "ხელმძღვანელობა, უშუალოდ მას დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებით, ქვეგანაყოფებითა და უზრუნველყოფისა და მომსახურეობის დაწესებულებებით განლაგდება ქალაქ თბილისში".

აღსანიშნავია თვით ამ საბაზო პუნქტების გეოპოლიტიკური მდებარეობა და მნიშვნელობა:

1. ბათუმი, ანუ აჭარა, რომელიც მშვიდობიანი და სრულიად ლეგალური გზით ისედაც გაპარულია საქართველოს იურისდიქციიდან. საფიქრალია, ამ პროცესს დააგვირგვინებს თავისუფალი ზონის სტატუსი, რასაც შევარდნაძეც მიესალმა აჭარაში ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს. ბაზების შესახებ ხელშეკრულების შემდეგ ნათელი ხდება, თუ ვისთვის იქნება ეს ზონა თავისუფალი.

2. ახალქალაქი - ცენტრი რეგიონისა, რომელიც ფაქტობრივად ასევე გამოსულია თბილისის კონტროლიდან; რომელშიც, სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემების თანახმად, ინტენსიურად მიმდინარეობს იმგვარი ადგილობრივი მმართველი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მძლავრ წინააღმდეგობას გაუწევს ცენტრის ნებისმიერ მცდელობას განახორციელოს რეგიონში თავისი ძალაუფლება. ამ პროცესის თვითდინებაზე მიშვება კი პერსპექტივაში გვპირდება კიდევ ერთ სახელმწიფო წარმონაქმნს, რომელსაც ზურგს საკმაოდ ძლიერი მოყვარე გაუმაგრებს და ამ მოყვარეს ასეთივე რუსული ბაზები აქვს თავის ტერიტორიაზე.

მეორეს მხრივ, ორივე საბაზო პუნქტი - ბათუმიც და ახალქალაქიც - თურქეთის სასაზღვრო ზოლს ემიჯნება და ნათელია, რომ რუსეთის ინტერესები ამ შემთხვევაში "სამხრეთი საზღვრების განმტკიცების" ავადმოსაგონარ პრინციპს ეფუძნება. რამდენად ემთხვევა საკუთრივ საქართველოს ინტერესებს უშუალოდ თურქეთის, "ნატო"-ს წევრი ქვეყნის საზღვართან რუსეთის ორი სამხედრო ბაზის შექმნა და როგორ ეხმიანება მთლიანად ხელშეკრულება აზერბაიჯანიდან ნავთობმაგისტრალის საქართველოზე გაყვანის ესოდენ რეკლამირებულ პროექტს, ან აზერბაიჯანში ბოლო ხანებში მომხდარ მოვლენებს, სომხეთის მიერ ასეთივე ხელშეკრულების ხელმოწერას ბაქოს საკმაოდ დამაჯერებელი უარის ფონზე? ხომ არ ჰგავს ეს ყოველივე ნავთობმაგისტრალის პროექტის ჩაშლის მიზნით მოწყობილ რუსეთ-საქართველო-სომხეთის შეთქმულებას?

შევარდნაძე თვლის, რომ, პირიქით, რუსეთის ბაზები სტაბილურობის გარანტი იქნება დასავლეთის საქმიანი წრეებისთვის. საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად ხსენებული წრეები.

3. გუდაუთა - აფხაზეთში როგორც რუსების, ისე სეპარატისტების მთავარი სამხედრო-სტრატეგიული საყრდენი. ორწლიანმა ომმა ცხადად გვიჩვენა, თუ რა ეფექტური შეიძლება იყოს ამ ორი ძალის შეთანხმებული მოქმედება სამხედრო აეროდრომითა და ზღვაში გასასვლელით უზრუნველყოფის პირობებში. საეჭვოა, გუდაუთა მომავალში ქართულ-რუსული ჯარის თანამშრომლობის ცენტრად იქცეს. პირიქით, დათქმული პირობების ბოლომდე შესრულების შემთხვევაშიც კი, ეს ბაზა დამოკლეს მახვილივით დაეკიდება მომავალ თაობებს.

ამდენად, სამივე რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ბაზები ადვილად შეიძლება იქცეს არა საქართველოს, არამედ სწორედ ამ ადმინისტრაციული ერთეულების სუვერენიზაციის გარანტად. ამ პროცესის რეგულირებისთვის კი რუსებს მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰქონდეთ ცენტრიც.

4-5. ვაზიანი და თბილისი არსებითად აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილისა და დედაქალაქის მაკონტროლებელი ერთიანი რგოლია. აშკარაა, რომ ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ათვისებასთან ერთად თბილისშიც, უშუალოდ ბაზების ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სახით, იქმნება მეხუთე სამხედრო ბაზა.

ამასთან, მუხლი 23 გვამცნობს მეტად საინტერესო გარემოებას, კერძოდ, ერთის მხრივ, აღნიშნულია, რომ სამხედრო მოსამსახურეები საბრძოლო იარაღს ატარებენ და გამოიყენებენ ბაზების ტერიტორიაზე, მაგრამ იქვე მითითებულია: "საბრძოლო იარაღის ტარება სამხედრო ბაზების საზღვრებს გარეთ დასაშვებია მხოლოდ სამხედრო სამსახურის იმ სახის ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველყოფასთან..."

რა სახის ქმედებები ან ობიექტები შედის საიდუმლო რეჟიმის ნუსხაში - უცნობია. უცნობია ისიც, რამდენად შეესაბამება მათი შინაარსი საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, რა მიზნებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველო? სანამ ამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა, საქართველოს უსაფრთხოებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

### "უსაფრთხოება" ევროპაში საქართველოს ხარჯზე

შეშფოთებას იწვევს ხელშეკრულების რიგი მუხლები (მაგ., მუხლი 3, 5, 6, 7, 9, 17), სადაც საუბარია ამა თუ იმ საკითხების ცალკე შეთანხმებებით გადაწყვეტის შესახებ. ერთის მხრივ, მართლაც შეუძლებელია ამგვარ დოკუმენტში განსაზღვრული იყოს ისეთი დეტალები, როგორიცაა სამხედრო სწავლების დროს გამოსაყენებელი ტექნიკის რაოდენობა, მისი გადაადგილების მარშრუტი და სხვა. მაგრამ დაუშვებელია ცალკე შეთანხმებები იმ საკითხებზე, რომლებიც უგულებელყოფს თავად ხელშეკრულების ძირეულ პრინციპებს. მაგ., მუხლი 9 კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის იმ სამხედრო ფორმირებათა ყოფნას, რომელიც არ შედის ბაზების შემადგენლობაში და იქვე დაშვებულია გამონაკლისი იმ შემთხვევების სახით, როდესაც ამის თაობაზე ცალკე მიიღწევა შეთანხმება. ამასთან, არ არის განსაზღვრული, თუ რა ადმინისტრაციულ დონეზე შეიძლება იყოს მიღწეული ამგვარი შეთანხმება, ვინ გააკონტროლებს, რომ ახალი ფორმირებების შემოყვანით არ დაირღვეს ხელშეკრულების პირობები, საერთაშორისო ვალდებულებები და სხვა.

ასევე მუხლი 16 გვამცნობს, რომ აკრძალვისა და უსაფრთხოების ზონების შექმნას რუსეთის სამხედრო ბაზების ხელმძღვანელობა განახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან შეთანხმებით, ანუ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი წყდება, ფაქტობრივად, ერთ ადამიანთან გარიგებით. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არის ამჟამად მთავარსარდალი, არ არის გამორიცხული სვეტიცხოველიც კი აკრძალვის ზონაში მოაქციონ და იქ პოლიგონი მოაწყონ.

მუხლი 34 ასევე ითვალისწინებს იურისდიქციისა და ურთიერთდახმარების საკითხების განსაზღვრას ცალკე შეთანხმებების საფუძველზე. თუ ასეთი ძირეული საკითხებიც კი საგანგებო წესით უნდა გადაწყდეს, მაშინ რა საჭიროა ეს ხელშეკრულება?!

ყველაზე საგულისხმოა ზემოხსენებული ორი დანართი:

N1 - ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებათა შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შეიარაღების მაქსიმალური დონეების შეცვლის შესახებ, რომლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოსთვის განსაზღვრული კვოტის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების შეიარაღება იზრდება საქართველოს შეიარაღების შემცირების ხარჯზე (რაოდენობა მითითებულია). მართალია, ქართული მხარე [illegible] გამარჯვებად მიიჩნევს, რომ დანართშიც და თვით ხელშეკრულებაშიც ჩადებულია [illegible] (მუხლი 6) შეიარაღების მაქსიმალური დონეების ცალკე შეთანხმებებით შეცვლის შესახებ, მაგრამ მთავარი განა ისაა, რამდენ ტანკს ფლობს მეტროპოლია და რამდენს - კოლონია. ეს დოკუმენტი ააშკარავებს ამ სამხედრო ალიანსის ჭეშმარიტ არსს - რუსეთის მიერ საქართველოს გამოყენება თავისი იმპერიული ზრახვების შესანიღბავად.

### ვინ არის პატრონი?!

დანართი 2 გვთავაზობს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ფორმირებებისა და სტრუქტურების შემადგენლობას, ანუ ჩამონათვალს იმ სამხედრო და სხვა დანიშნულების ობიექტებისა, რომელიც უნდა გადაეცეს, უფრო სწორედ, დაუბრუნდეს რუსეთის სამხედრო კონტინგენტს. შთაბეჭდილების მოსახდენად საკმარისი იქნებოდა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე არსებული ყოფილი ოფიცერთა სახლის შენობის დასახელებაც. სულ ამ სიაში მითითებულია 91 ობიექტი თავისი მისამართებით, აქედან ბათუმში - 26, ვაზიანში - 6, ახალქალაქში - 8, გუდაუთაში - 1 (?!), თბილისში - 50. ჩამონათვალში ფიგურირებს როგორც სამხედრო დანიშნულების ობიექტები - აეროდრომები, მოტომსროლელი, საზენიტო-სარაკეტო პოლკები, სასწავლო ცენტრები, კავშირგაბმულობის კვანძები, სამხედრო საწყობები და სხვა, ისე ადმინისტრაციული შენობები, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლები (მახინჯაურში), აგარაკები (მაგალითად, კოჯორში), საავტომობილო სადგომები და სარემონტო სახელოსნოები, სამედიცინო დაწესებულებები, სპორტკლუბები, ქიმწმენდისა და სავაჭრო ობიექტები, სასტუმროები და სხვა.

ორივე დანართი ხელმოწერილია ნათელმირონით დამოყვრებული თავდაცვის მინისტრების მიერ.

### რუსი სამხედროების უფლებებისთვის

ხელშეკრულების შესავალ ნაწილში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ხელმომწერი მხარეები უპირობოდ აღიარებენ ორივე ქვეყნის სუვერენიტეტს, რაც თავისთავად ცინიზმია, ვინაიდან თვით წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და, საერთოდ, სახელმწიფოებრიობის სრული უგულებელყოფის დასტურია.

საკმარისია განვიხილოთ ის მუხლები, რომელშიც რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებები გათანაბრებულია საქართველოს მოქალაქეთა უფლებებთან. მაგალითად მუხლი 11 - "რუსეთის სამხედრო ბაზების შემადგენლობაში შემავალ პირებს, აგრეთვე აღნიშნული ბაზების შემადგენლობაში შემავალ და ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ ან პენსიაზე გასულ პირებს, მათი ოჯახის წევრებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ უფლება იმავე პირობებზე, რაც საქართველოს მოქალაქეებს, შეიძინონ საქონელი პირადი მოხმარებისთვის და ისარგებლონ მათთვის საჭირო მომსახურეობით".

ნათელია, რომ საქონლის შეძენა საქართველოში ტურისტებსაც არ ეკრძალებათ, ამიტომაც შეიძლება გაუგებარი მოგვეჩვენოს, რა საჭიროებას წარმოადგენდა ამ მუხლში საქართველოს მოქალაქეებთან თანაბარუფლებიანობის აღნიშვნა. მაგრამ თუ დავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ საჭირო მომსახურეობით სარგებლობა მეტად ფართო სპექტრს შეიძლება მოიცავდეს და დიდ პერსპექტივას უხსნიდეს პენსიაზე გასულ და დათხოვნილ რუს სამხედროებს, რომლებიც, ალბათ, არ აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას?!

მუხლი 32 გულისხმობს რუსი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სრულიად გაუმართლებელ პრივილეგიებს საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლისას და მივლინებით ან შვებულებასთან დაკავშირებული მგზავრობისას, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ისინი არ იხდიან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბაჟო და სხვა სახის გადასახადებს.

ხელშეკრულება კიდევ მრავალ ნეგატიურ ასპექტს შეიცავს, ბევრი პრობლემა, შესაძლოა, შეფარულიც იყოს და ამდენად, უფრო კომპეტენტურ დამკვირვებელს საჭიროებდეს. გარდა ამისა, რათა უფრო ნათელი გახდეს რეალურად რას გვიქადის ეს დოკუმენტი, მისი განხილვა საჭიროა არსებული ხელისუფლების მიერ "დიდი ხელშეკრულების" ფარგლებში დადებულ სხვა სამხედრო შეთანხმებებთან კონტექსტში და საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში.

ანა ჭავჭავაძე

# ერთი დახურული პროცესის გახსენება

ზვიად გამსახურდიას დისიდენტური ცხოვრება 1953 წლიდან დაიწყო. მაშინ, როდესაც იგი 14 წლის იყო. ეს ის წლები გახლდათ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი შიშის ზარს სცემდა კომუნისტური რეჟიმისგან დაშინებულ და თავისუფლებისგან გაუცხოვებულ საზოგადოებას. ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ამ წლების მასალები და დოკუმენტები, სამწუხაროდ, დროთა მორევში განიბნა. ზოგი მათგანი რეჟიმის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს შეეწირა, ზოგიც უბრალოდ დაიკარგა. თუმცა, წარმავლობის ულმობელი კანონი ყოველთვის ვერ ერევა მარადისობად ქცეულ ღირებულებებს და ისინი ადამიანების მეხსიერებაში თუ შთამომავლობისთვის განკუთვნილ ხელნაწერებში განაგრძობენ არსებობას, რათა ოდესმე საყოველთაოდ გაცხადდნენ.

ფოტოსურათი, რომელიც 1956 წლის სასამართლო სხდომას ასახავს, თავისთავად მრავლისმეტყველია. ცარიელ დარბაზში, შეიარაღებული ბადრაგის მეთვალყურეობით მიმდინარეობს დახურული გასაიდუმლოებული პროცესი.

თეიმურაზ ცერცვაძემ, რომელიც ამ წლებში მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა, რამდენიმე საინტერესო მოგონება გაგვანდო.

- ჯგუფი 1953 წელს შეიქმნა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით. ჩვენ მას მოგვიანებით, 1954 წ. შევუერთდით. სახელწოდება ჯგუფს არ ჰქონდა. გვინდოდა "გორგასლიანი" დაგვერქმია, მაგრამ ეს სურვილი სურვილად დარჩა. ჩვენი მიზანი იყო ხალხთან გვესაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მათში გაგვეღვიძებინა თავისუფლების სურვილი და რაც შეიძლება მეტი ადამიანი შემოგვეკრიბა გარშემო. ჩვენ როგორც შეგვეძლო, ისე ვიბრძოდით, თუმცა ბევრი ვერაფრის გაკეთება მოვასწარით. ვწერდით პროკლამაციებს და გვიან ღამით გავდიოდით მათ გასავრცელებლად. ეს მაშინ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

დაგვაპატიმრეს 1956 წელს. ყველანი სახლებიდან აგვიყვანეს. ციხეში კარგად გვექცეოდნენ. დაკითხვების დროს ყველამ ვთქვით, რომ ჯგუფი პარიტეტული პრინციპით არსებობდა და მას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია. განსხვავებული ჩვენება მისცა ზვიად გამსახურდიამ, მან თქვა, რომ ჯგუფს თვითონ ხელმძღვანელობდა! მოგვიანებით მივხვდი, რომ მან სიტუაციის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე აიღო. დაკითხვებისას გამომძიებელი განსაკუთრებით ცდილობდა გაერკვია ამ ჯგუფთან ბატონი კონსტანტინეს დამოკიდებულება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ჩვენ ბატონი კონსტანტინე გვხელმძღვანელობდა.

რამდენიმე თვეში გამოგვიშვეს. ეს იყო 1957 წლის გაზაფხული. ციხიდან ერთ დღეს, თუმცა სხვადასხვა დროს გამოვედით. გარეთ ჩვენი მეგობრები დაგვხვდნენ.

ხალხის დამოკიდებულება ჩვენდამი არ გახლდათ ცალსახა. უფროსები მსუბუქად განგვიკითხავდნენ, ჩვენი თანატოლები კი გულმხურვალედ თანაგვიგრძნობდნენ.

ეს ისე, მოკლედ, იმ მოვლენების მოსაგონრად. გარკვეულად მიჭირს კიდეც რაიმე ახლის თქმა...

ბატონ თეიმურაზთან საუბარში იმ წლების ამსახველი დოკუმენტებიც და მემორიალური ნივთებიც მოვიკითხეთ. მან გვითხრა, რომ ზოგი მათგანი განადგურდა, ზოგიც დაიკარგა. მაგალითად, დაიკარგა ის საბეჭდი მანქანა, რომლის მეშვეობითაც არაერთი დოკუმენტი შეუქმნიათ. საუბრიდან მივხვდით, რომ ბატონ თეიმურაზს იგი მეტად ეძვირფასებოდა. მისივე მითითებით, მერაბ კოსტავას მუზეუმში მოვიძიეთ მათი ჯგუფის მიერ შედგენილი ერთ-ერთი პირველი პროკლამაცია, რომელსაც დღესაც ამჩნევია სუკის დამღა.

დღეს წარსულის ამსახველი ყველა ნივთი თუ მოვლენა განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს, რამეთუ მათი მეშვეობით ხდება ჭეშმარიტების დადგენა. ჟამთა გადასახედიდან ბუნებრივად ცხადდება წარსულის ნამდვილი არსი, მოვლენათა საკრალური მნიშვნელობა და ასე თანდათან, წვეთწვეთად იკინძება ისტორია; გროვდება ის სულიერი ფასეულობები, რომლებსაც დრო და ჟამი უკვე ველარაფერს დააკლებს.



(სურათზე: წინა რიგში - ვოვა სიხარულიძე, ტოლიკო მიქაძე,გურამ სხირტლა ძე, თემურ ცერცვაძე. უკანა რიგში: თამაზ გუნჯუა, მერაბ კოსტავა, ჯონდო მეტრეველი, ზვიად გამსახურდია).

## ქართველებო!

ხომ არ დაგავიწყდათ ცხრა მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი, ქართველი ხალხის დარბევისა და გაულეტის წლები? როდემდის უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილ ქვეშ? ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ და არც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი.

დღეს, როდესაც მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის საშინელი ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნაარყოფნის საკითხი დგება, დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიმოიხედეთ ირგვლივ, მსოფლიო ბობოქრობს. განკითხვის დღე მზადდება კრემლელი ჯალათებისათვის. თბილისში, პოზნანში, ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი სამართალს ითხოვს. მათი აღსასრული მოახლოებულია.

ქართველებო! სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას! ძმური სალამი გმირ უნგრელ ხალხს! დაე, ყველა დამონებული ერისათვის მაგალითად იქცეს უნგრელთა გმირობა! ხელები შორს უნგრეთისაგან!

ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა!

ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

რომელი მოღალატეც ამას ჩამოხსნის, სიკვდილი ელის!

**1956 წლის პროკლამაცია**

# მუდამ მქონდა დიდი მოწიწება მისდამი

უნივერსიტეტიდან ადრე დათხოვილი 1977 წლიდანვე ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლად მოვიდა რუსთველოლოგიის განყოფილებაში. მორიდებული, ზრდილი, - დაამატებდი უთუოდ მის ცნობილ ღირსებებს. არასოდეს მოუთხოვია სკამი, კუთხე, მაგიდა. საერთოდ თავდახრილი დადიოდა. განსაკუთრებით 1977-81წ.წ. დაპატიმრებიდან დაბრუნებულს ნაკლებად ესალმებოდნენ. ერთხელ, უფრო იმიტომ, რომ მე შემდავებოდნენ, როგორც მის მხარდამჭერს, შემომჩივლა უფროს ქალთა ჯგუფმა - არ გვესალმებაო. ამის შემდეგ, რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში შეხვედრისას, ზვიადს ვუთხარი: რატომღაც მე შემომჩივლეს, არ გვესალმებაო. მომისმინა და მითხრა: როცა ერთად არიან, თავად არ მესალმებიან და ჩავთვალე, არ შევაწუხებ-თქო.

ინსტიტუტს მისი შემატება შეეტყო, მაგიდაზე წაწოლილი აღარ საუბრობდნენ, ჯდომაც ისწავლეს. იყო საოცრად პუნქტუალური. შეღავათს არაფერში ითხოვდა. მახსოვს, ეროვნული მოძრაობა უკვე ქუჩებს მოსდებოდა, იგი მოვლენების ცენტრში იყო და წლიური სამეცნიერო ნაშრომი ზუსტად იმ დროს წარმოადგინა, მეტიც, საჯაროდ წაიკითხა სააქტო დარბაზში. ეს აღნიშნა კიდეც განყოფილების გამგემ რევაზ სირაძემ ჩემთან საუბრისას.

მერაბის ეზოში ვიყავით. ბაღის გრძელ სკამზე იჯდა, მიმიწვია. გრძელ საუბარს მისი რიდით გავურბოდი. მუდამ მქონდა დიდი მოწიწება მისდამი.

მახსოვს, ჩემმა მოხუცმა დედამ მისი წიგნი წაიკითხა, მე, უფროსსა და ჩემს უმცროს და-ძმაზე ნაამაგარ შვილს, რომელსაც პატივსაც მცემდა და ჭკვიანადაც მივაჩნდი, მითხრა: თქვენ არ გრცხვენიათ, მისი თანდასწრებით რომ კითხულობთ თქვენს შრომებსო?

ძალიან შეღავათიანია - თქო, დავამშვიდე დედა.

მახსოვს, ზვიადთან სახლში სტუმრად იყო ფრანგი ჟურნალისტი ქალი. მასთან საუბარში სულ მეშლებოდა და თეთრის მაგიერ წითელწყაროს ვამბობდი (თუ პირიქით). მორიდებით შემისწორა ერთხელ. მერე, როცა უნდა შემშლოდა, მას შევხედავდი და იგი ბაგის მსუბუქი მოძრაობით სიზუსტის დაცვაში მეხმარებოდა. არც კი გაღიმებია ჩემი ამ ლაფსუსების გამო.

მანანას მივაკითხე და გავიგე, ზვიადი რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა. ვთხოვე, წავეყვანე. პალატაში მარტო რომ დავრჩით, 100 მანეთი დავდე, ექიმთან დაგჭირდება - თქო. მანანა აღელდა, კატეგორიულად იუარა. ზვიადი შემოვიდა, დაუმატა: ჩვენ მატერიალურზე უფრო მორალური თანადგომა გვჭირდებაო. დავთანხმდი, როცა ფული მერაბთან გასაგზავნად დაიტოვეს. ვწუხვარ, მანამდე ამას თავად რომ ვერ მივხვდი. თუმცა, მაშინ მეც მიჭირდა.

როცა მე 9 აპრილის შემდეგ ვიწექი ქავთარაძის ქუჩაზე საავადმყოფოში გართულებული გულის ტკივილით, მანანა გამოგზავნეს ძღვენით. საერთოდ, მანანასგან მორიდება, ყურადღება და პატივისცემა მახსოვს. უხვი და მასშტაბური საქმეშიც, ხედვაშიც და მოთმინებაშიც.

ილიას 150 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე საგურამოში შევხვდი მთელ ოჯახს. წასვლის ხანს ჩემს საზაფხულო სახლში მივიპატიჟე. ზღვა ხალხში ერთმანეთი დავკარგეთ. დიდხანს უცდიათ, მერე უთქვამს: იქნებ მოერიდა ჩემი სტუმრობაო (ეს მანანამ მითხრა). გული დამწყდა, რომ ასეთი ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ბევრისგან იყო მიჩვეული გვერდის ავლას და მე რა გამონაკლისი უნდა ვგონებოდი.

როგორ იცხოვრა! როგორი სევდა ატარა ჩვენი სიბრმავისა და სიმართლის ჩაგვრის გამო!

მერაბთან შეეძლო ეჩურჩულა - ერთმანეთის მთელ ცხოვრებას იცნობდნენ. მიტინგებზე მოშქანცველი, ხანგრძლივი ფეხზე დგომის თაობაზე მერაბმა ერთხელ იხუმრა: დაგვიჭირონ ერთი, დაგვსვამენ მაინცო.

მეორე სესია გროზნოში პუტჩისტების არჩევნებს დაემთხვა. ისინი პოზიციებს იმაგრებდნენ, რაც ჩვენ, ცხადია, გვირთულებდა მდგომარეობას. ზოგმა მოიწყინა, მახსოვს როგორ მომჯობინდნენ ისინი, როცა სესიაზე ზვიადი ალაპარაკდა. გამხნევდნენ. ზვიადი მოწოდებებს კი არ ისროდა, ანალიზს უკეთებდა მომხდარს და მოსახდენს. უჩვეულოდ დიადი იყო ამიტომ მარტოც. ის იდგა ლტოლვილი ხელისუფალის სრული პასუხისმგებლობით. ლაპარაკობდა ადამიანივით და მაინც ღმერთი გვეგონა. ასეთ კაცს სხვა ქვეყანა ვერ გააჩენს. გული მწყდება, რომ მეტად არ ვაგრძნობინეთ სიყვარული.

1993 წ. ოქტომბრის ბოლოს დღევანდელმა ხელისუფალმა ტელევიზიით შემოსძახა: ზვიადი გროზნოში დაბრუნდა. მიჩუქნია გროზნოსთვისო!

პრეზიდენტი კი სამეგრელოში იყო და როცა ტელე-ცნობის საპირისპიროდ იგი სენაკში დაინახეს, ხალხი გარს შემოეხვია. ამ დროს დედა-ქალი ითხოვდა - მიმიშვით, ფეხებზე უნდა ვემთხვიოო, ფიცი მაქვს მიცემულიო. მიუშვეს, ქალი დაიხარა, დაიხარა ზვიადიც, ორივენი ერთმანეთს ჩაკრულები წამოდგნენ. დედა-ქალი მკერდს და მხარს უკოცნიდა ზვიადს. ზვიადს თვალები სველი ჰქონდა.

ხუნტის ჯარები რუსეთის ჯართან ერთად გვიკლავდნენ საუკეთესო ვაჟკაცებს. მახსოვს ოთხი ასეთი ვაჟკაცი ესვენა საზოგადოება "ხსოვნის" დარბაზში. ერთი დედისერთა ჯაფარიძე იყო. უცოლშვილო, კარგი დედის და დეიდის გაზრდილი. მკვდარსაც ვერ მოსწყვეტდი თვალს. ზვიადი "ხსოვნაში" მარტო მისულა. უხმოდ შეჰყურებდა მათ სასახლეებში ჩასვენებას. მის თმაში კი ჭაღარა მატულობდა.

სექტემბერში, ჯვართამაღლების დღეს ზვიადი დადიანების კარის ეკლესიაში შევიდა. ზღვა ხალხი დაჰყვებოდა. ყველა თვალებად იყო ქცეული. ზვიადი ყოველი კუთხიდან ჩანდა, სიმაღლის გამო. მთელს ის დრო, ვიდრე კანონიერი ხელისუფლება იყო ზუგდიდში, უჩვეულოდ კარგი დარი იდგა. 27 ოქტომბრიდან, ხუნტის მოახლოების დღიდან ამინდიც შეიცვალა, როგორც განწყობილება. ზვიადი ეკლესიიდან გამოვიდა დადიანების სასახლის წინამდებარე პარკში. ეს პარკი ახლა ღიაა და გზებით დასერილი. ზოგი ბზის ხეივანში მიდის. ოდესღაც სამოთხის მსგავსი იქნებოდა. ახლაც შერჩენილი აქვს ადრინდელი სილამაზის ნიშნები. ლამაზად განლაგებული ხეები და მაგნოლიის მკვრივი ფოთლები, მართლაც, სტერლინგივით ბზინავდნენ. ამ სილამაზეს ბიბლიურ იერს აძლევდა ბილიკზე მომავალი ზვიადი ხალხით.

განათლების სამინისტროში რომ მივყავდი, ერთმა დეპუტატმა სთხოვა ზვიადს - წაგვიყვანეთო თქვენც. საქმე მოიმიზეზა. მარტო რომ დავრჩით, დამლოცეთ - თქო, - ვთხოვე. პირჯვარი გადამწერა. მისი არჩეული რომ ვიყავი, ამიტომ ბევრი ავიტანე...

სამინისტროში ჩემი მუშაობის პერიოდი მძიმე იყო. მე, ცხადია, შეუცვლელი არ ვიყავი, მაგრამ ახალ მინისტრს ამდენი წინააღმდეგობა, ალბათ, სასოწარკვეთაში ჩააგდებდა. 4,5 თუ 415 მარტო სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტი ცხოვრობდა ჩემი კაბინეტის შესასვლელთან. მშობლებიანად და ახლობლებიანად 2000 -მდე. არავითარი დაცვა არ მქონდა, პრეტენზიები კი დღითიდღე ეზრდებოდათ, მხოლოდ ერთხელ ვუთხარი ამის თაობაზე პრეზიდენტს.

- თქვენი განეიტრალება უნდათ, - მითხრა მან.

საერთოდ, რაიმე განცდებზე ზვიადი არ ლაპარაკობდა, მისი სათქმელი იყო დაწერული. არაფერს გთხოვდა.

ზვიადის ბრძოლა იყო სიმართლის ქომაგობა. მეტწილად მარტო იყო. სიმართლე კი - ცხრაკლიტულში, როგორც ზღაპარში. ყველა კლასიკოსისა და აკადემიკოსის შვილი მშვენივრად ირგებდა სისხლიან სავარძელს. ზვიადს კი ცოდნისა და სიმართლისთვის რიცხავდნენ უნივერსიტეტიდან, მწერალთა კავშირიდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან, სვამდნენ ციხეში და აკერებდნენ შეურაცხადისა თუ სარეველას იარლიყს. რაც უფრო მასშტაბური ხდებოდა მისი ბრძოლა, მით უფრო ძლიერდებოდა მისი საგინებელი.

იმპერიის დამქაშები ისევ ამ კატეგორიებით მსჯელობენ მასზე და ამითაც გამოიცნობიან ახლა.

თბილისის ყველა ძირითად ქუჩას პოლიფონისტიურით რამდენიმე ტექსტი ატყვია. გაზულუქებულთა მანქანების დღევანდელ სრბოლაშიც ვხედავ როგორ მიედინებოდა მასზე ჩემი ხალხი და თავისუფლებისთვის ბრძოლის მათი სულისკვეთება ზნეობრივ იერს აძლევდა მამულს. ქუჩებს ახსოვს ეს დღესასწაული, რომლითაც ხიდი იდებოდა ძველი და მომავალი საქართველოს დიდებასთან და დადიოდა ამ დიდების ავტორი ჩვენს შორის, როგორც ოდესღაც რუსთაველი, აღმაშენებელი, ილია; შვენოდა საქართველოს და სიამაყის გვირგვინს ადგამდა თანამემამულეებს; გრძნობდა, ყველაზე მძაფრი გამოცდის საბაბად იქცა. იგი, ვისაც უყვარს, სიყვარულითვე მოქმედებს ქვეყნის სამსახურში.

მისი მოყვარე, ჩემსავით, ყველგან ხედავს მას, თან დაატარებს და საკუთარ სულში უვლის მის სიცოცხლეს.

80 -იანი წლების დასაწყისი იქნებოდა. სამსახურში მიმავალმა, საპირისპირო მხარეს, ტროტუარზე ("კომუნისტის" რედაქციის წინ) მომავალი გამსახურდიების ოჯახი დავინახე. ზვიადს ორივე ხელში მძიმე ჩემოდანი ეკავა, მანანას პატარა ცოტნე მოჰყავდა ხელმოკიდებული. სალამი რომ არ დამეკარგა, დროდადრო გავიხედავდი მათკენ. ზვიადი თავდახრილი მიდიოდა და, როგორც ყოველთვის, არავის მისალმებას არ ელოდა. მანანა თავაწეული მოჰყვებოდა. ბუკინისტების მაღაზიასთან ზვიადმა ჩემოდნები მანანას გადასცა, თავად გარეთ დარჩა. წიგნები ჩააბარეს... უჭირდათ...

ზოგჯერ, ამ ადგილზე გავლისას იკრიფება ის დარდი, რომელიც იმ სურათის მოგონებას ახლავს.

ლია ანდღულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

SOVIET ANALYST Vol 21, 9-10 . April, 1993

# ნომენკლატურის რევანში

ზვიად გამსახურდია

დაწყებული 1987 წლიდან, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, რესპუბლიკებში გააქტიურდა ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობები. სსრ კავშირის მმართველები კარგად ხვდებოდნენ “ცივი ომის“ გაგრძელების უპერსპექტივობას, თუმცა, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თავიანთი კომუნისტური იმპერიის შესანარჩუნებლად; ეს გახდა მიზეზი მათ მიერ წამოწყებული “პერესტროიკისა“, რომელიც მხოლოდ გარეგნულ ცვლილებებს ითვალისწინებდა.

მართალია, ერთის მხრივ ხდებოდა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, მაგრამ პარალელურად გრძელდებოდა სისხლიანი რეპრესიები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ, განსაკუთრებით ეს გამოიხატა ვილნიუსში, თბილისში, ბაქოსა და სხვა რესპუბლიკების დედაქალაქებში. მაგრამ ამ ხალხების ურყევი ნებისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად იმპერია იძულებული გახდა ოპოზიციისთვის არაკომუნისტური არჩევნების ჩატარების უფლება მიეცემა, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ამ რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის დეკლარაცია; ყოველივე ეს სსრ კავშირის სრულ დეზინტეგრაციას ნიშნავდა.

საქართველოში დემოკრატიულმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავის უმაღლეს წერტილს 1990 წლის 28 ოქტომბერს მიაღწია. ამ დღეს ქვეყანაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელსაც დემოკრატიული პრინციპები ედო საფუძვლად. ეს იყო ჭეშმარიტად უსისხლო რევოლუცია - კომუნისტები იძულებულნი გახდნენ ძალაუფლება დემოკრატიულად არჩეული პარლამენტისა და მთავრობისთვის გადაეცათ. პირველად 70 წლის მანძილზე საქართველოში საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ ღირებულებებს - სიტყვის, პრესის, პოლიტიკურ, აღმსარებლობით თავისუფლებას.

ალბათ, სერიოზულ განცვიფრებას იწვევდა და დღესაც იწვევს ის, თუ როგორ დათმეს კრემლმა და ადგილობრივმა კომუნისტებმა ასე უბრძოლველად პოზიციები. 1989 წლის 9 აპრილს ჩატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა, მიმართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, მმართველ წრეებს თვალნათლივ დაანახვა ამგვარ ქმედებათა არაეფექტურობა, ამიტომ არც დააყოვნეს და სულ მალე შექმნეს ცრუ ოპოზიცია, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ შეიარაღებული კრიმინალური ფორმირებები (ე.წ. “მხედრიონის“ ბანდა), - ლეგალიზებული კომუნისტების სასწრაფო რეაგირებისთვის. ამგვარი ცრუ ოპოზიციის დაკანონება შესაძლებელი გახდა ე.წ. “ეროვნული კონგრესის“ არჩევის შედეგად. ეს ფალსიფიცირებული არჩევნები მიზნად ისახავდა ნამდვილი ოპოზიციის ჩამოცილებას, ხელისუფლებასთან ბრძოლას და ტერორისტულ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის მიმართ. ამასთან ერთად, კომუნისტებმა ბიძგი მისცეს ე.წ. “სამხრეთ ოსეთში“ ექსტრემისტთა გააქტიურებას, კერძოდ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უკიდურეს შევიწროვებასა და ტერორს, რაც უშუალოდ მოსკოვიდან პოლიტბიუროსა და სუკის მიერ იგეგმებოდა.

ამგვარი ძალების გააქტიურების მეშვეობით კომუნისტები იმედოვნებდნენ ჩაეშალათ დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, თუმცა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობამ, მასობრივმა დემონსტრაციებმა, სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლებმა და ბოლოს, სარკინიგზო გაფიცვამ აიძულა კომუნისტური ხელისუფლება ნება დაერთო ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც კომუნისტური პარტიაც მიიღებდა მონაწილეობას.

კომუნისტთა ცინიკური მცდელობა ჩაეშალათ არჩევნები, უშედეგო გამოდგა, ამას დაემატა კომუნისტური პარტიის დამამცირებელი მარცხი არჩევნების დროს. ამ არჩევნებში, დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა პოლიტიკურმა ბლოკმა “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომლის ხელმძღვანელი მე გახლდით.

დღიდან ჩემი საქართველოს პარლამენტის სპიკერად არჩევისა (1990 წლის 14 ნოემბერი), “მხედრიონის“ კრიმინალური ჯგუფები აწარმოებდნენ შეიარაღებულ თავდასხმებს პოლიციის განყოფილებებზე, არბევდნენ და აწიოკებდნენ მთელი საქართველოს მოსახლეობას, იმავდროულად ცრუ “ეროვნული კონგრესი“ ცდილობდა მოეწყო საპროტესტო გამოსვლები კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. მოსკოვში კი, საგანგებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შევარდნაძე, ფოფხაძე, მგელაძე და სხვა რენეგატი კომუნისტები, სახავდა გეგმებს საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების დასამხობად. საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, მოსკოვის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მთელს მსოფლიოში უპრეცედენტო პროპაგანდისტული კამპანია გაიშალა. შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, - შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელთანაც შევარდნაძეს [illegible]ადი მეგობრობა აკავშირებდა, ხელს უწყობდნენ ამ ცინიკურ დეზინფორმაციულ კამპანიას, რომელიც გაჩაღდა საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელისუფლების, რომლის მიზანი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო.

თავის მხრივ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იმეორებდნენ საბჭოთა პროპაგანდისტულ სიცრუეს, მათ შორის მოსაზრებას, თითქოს მე წარმოვადგენდე საქართველოს სასტიკ დიქტატორს, - კავკასიის სადამ ჰუსეინს, რომელიც ზღუდავს ყოველგვარ პიროვნულ თავისუფლებებს, აპატიმრებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, თრგუნავს ადამიანის უფლებებს, ავიწროვებს ეროვნულ უმცირესობებს, და აწარმოებს “ფაშისტურ ომს“ ლოზუნგით “საქართველო - ქართველებისთვის“.

რეალური სურათი კი სრულიად საპირისპირო გახლდათ. საქართველოში არსებული პრესიდან 25 გაზეთი სისტემატურად აკრიტიკებდა და ლანძღავდა პრეზიდენტსა და პარლამენტს, რის გამოც მათ არავინ დევნიდა და ავიწროვებდა. საბჭოთა რეჟიმისგან განსხვავებით, ე.წ. “ოპოზიცია“ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში არსებული “ალტერნატიული საათით“ სარგებლობდა და მათ უფლებაც კი მიეცათ გაეხსნათ დამოუკიდებელი ტელეარხი. ამგვარად, ჩემი მმართველობის პერიოდში სრული პოლიტიკური თავისუფლება იყო. მტრულად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს საშუალება ეძლეოდათ ჩაეტარებინათ დემონსტრაციები და საპროტესტო აქციები თავიანთი მხარდამჭერი გაზეთებისა და შეიარაღებული ჯგუფების მონაწილეობით.

ჩემი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას, ადამიანების დაპატიმრება ხდებოდა მხოლოდ ძალადობისა და მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზეზით და არავითარ შემთხვევაში მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ჩვენი ხელისუფლება ანგარიშს უწევდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, ეს უფლებები ყველასათვის ერთნაირი იყო, როგორც ქართული, ასევე არაქართული მოსახლეობისთვის.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ე.წ. ავტონომიური ოლქის გაუქმებას, ეს გამოწვეული გახლდათ იმით, რომ სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, კერძოდ, მათ გააუქმეს ავტონომია და თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს. საქართველოს პარლამენტი დაეთანხმა ამ დებულების პირველ ნაწილს! რაც შეეხება არეულობას და ძალადობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთში, პროვოცირებული იყო ექსტრემისტების მიერ, რომელთაც უშუალოდ მოსკოვი ხელმძღვანელობდა. მე არასოდეს გამომიცხადებია - “საქართველო ქართველებისთვის“. ეს ცინიკური გამონათქვამი მოსკოვის პროპაგანდისტული მანქანის საგანგებოდ მოფიქრებული სიტყვაა და სხვა არაფერი.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, რომლის შედეგად საქართველოს მოსახლეობის 90% -ზე მეტმა ხმა მისცა საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. 26 მაისს საქართველოში პირველად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს პირველ პრეზიდენტად არჩეული ვიყავი მე.

ჩემი პრეზიდენტად არჩევიდან მოკლე დროში, საქართველოს მიმართ განხორციელებული იყო სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა, ასევე დესტრუქციულ ზეწოლას განიცდიდა საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, გორბაჩოვმა მაინც მიმიწვია ნოვო-ოგარევოში სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. ჩემი დასაბუთებული უარი გახდა მიზეზი კრემლის მიერ შემუშავებული გეგმით საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობისა.

პრეზიდენტმა ბუშმა პერსონალურად შეიტანა წვლილი საქართველოს შევიწროვების საქმეში. 1991 წლის ზაფხულში სსრ კავშირში მისი ვიზიტის დროს, როდესაც იგი ცდილობდა დაეყოლიებინა უკრაინა დარჩენილიყო კავშირში, მან მე მიწოდა “კაცი, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“. ამას მოჰყვა სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს ავტორიტარული რეჟიმი და იგი ვერასოდეს მიიღებს აშშ-ს ადმინისტრაციის თანადგომას. სახელმწიფო მდივნის ამგვარმა განცხადებამ ბიძგი მისცა შეიარაღებული “ოპოზიციის“ მიერ სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებას.

როგორც ბატონმა აფანასიევმა განაცხადა, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ 65 მილიონი მანეთი (ჰიპერინფლაციამდე) გაიღეს საქართველოში პუტჩის დასაფინანსებლად.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ზოგიერთი წევრი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა შევარდნაძესთან მოსკოვში, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. მე მხედველობაში მყავს, კერძოდ, პრემიერ - მინისტრი თ.სიგუა, ეროვნული გვარდიის მეთაური თ.კიტოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრი გ.ხოშტარია, პარლამენტის სპიკერი ა.ასათიანი, ასევე პარლამენტის წევრები ვ.ადამია, ნ.ნათაძე და თ.პაატაშვილი. თ.სიგუა და თ.კიტოვანი ფართო აგიტაციას ეწეოდნენ ადრე ჩემს მიერვე ჩამოყალიბებული ეროვნული გვარდიის რიგებში, არწმუნებდნენ მეომრებს, თითქოს მე მხარი დავუჭირე მოსკოვის პუტჩს. მათი მთავარი არგუმენტი იანაევის დაკითხვის ოქმები გახლდათ, სადაც თითქოს ნათლად ჩანდა ჩემი მისადმი მხარდაჭერა. მეტი დამაჯერებლობისთვის ისინი ამ დოკუმენტის ჩვენებას პირდებოდნენ ეროვნული გვარდიის წევრებს, მაგრამ ამგვარი დოკუმენტი მათ დღემდე ვერ წარმოადგინეს.

თავისთავად, ასეთი ბრალდება სასაცილოა, ვინაიდან მე გახლდით პირველი პრეზიდენტი, რომელმაც პუტჩის მეორე დღესვე (20 აგვისტოს) მივმართე დასავლეთის სახელმწიფოებს, რათა ეცნოთ ამ რეგიონში ყველა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი და მხარი დაეჭირათ მათთვის. იქვე დავძინე, რომ პასუხისმგებლობა პუტჩის ორგანიზებაში ეკისრებათ “რეაქციულ ძალებს“. ჩემი მიმართვა დაიბეჭდა თბილისის რუსულენოვან გაზეთ “სვობოდნაია გრუზიაში“ და გადაიცა მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების მიერ.

არსებობდა გვარდიის გამოუცდელ ჯარისკაცებზე ზემოქმედების სხვა ხერხიც, მათ არწმუნებდნენ, თითქოს მე განმეზრახოს ეროვნული გვარდიის განიარაღება და დაშლა, საბუთად კი მოჰყავდათ ჩემი ბრძანება გვარდიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შესვლის თაობაზე, რომლის დანაყოფსაც ის წარმოადგენდა, სინამდვილეში კი, ჩემი ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო მოსკოვის შემდგომი მაქინაციებისაგან ეროვნული გვარდიის დასაცავად.

ასეთი ულირსი ხერხებით მოსკოვიდან მართულმა შეთქმულებმა მოახერხეს ეროვნული გვარდიის დიდი ნაწილის გადაბირება, რის შემდეგაც ისინი დაბანაკდნენ თბილისის მახლობლად. ეს რაზმი მტრულად იყო განწყობილი როგორც პირადად ჩემდამი, ასევე პარლამენტისადმი და ამიტომ იგი გახდა საყრდენი ე.წ. ოპოზიციის, ნარკომანთა და ყოველგვარი ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის. მათი დაფინანსება უშუალოდ მოსკოვიდან და ადგილობრივი მაფიის მეშვეობით ხდებოდა. საბჭოთა არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი ამარაგებდა მათ სამხედრო ტექნიკით, საკომუნიკაციო ინვენტარით და გამოცდილი სამხედრო ინსტრუქტორებით.

არც კანონიერი ხელისუფლების, პარლამენტის, პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი კომუნისტური ინტელიგენცია დარჩენილა მოსკოვის ზრუნვის გარეშე. მათ კომუნისტური რეჟიმის დროს განსაკუთრებით პრივილეგირებული ინტელიგენციაც შეუერთდა, საზოგადოების ამ ფენამ საქართველოში დემოკრატიული რევოლუციის შედეგად დაკარგა დაუმსახურებელი პრივილეგიები და, ამდენად, შევარდნაძისდროინდელ საქართველოზე ოცნებას მიეცნენ.

მოსკოვის პროპაგანდისტულ სიცრუეთა შორის ყველაზე უტიფარი გახლდათ ბრალდება, თითქოს მე ვეწეოდი საქართველოს იზოლაციას, ე.წ. მის ლიბანიზაციას მაშინ, როდესაც საქმე სრულიად სხვაგვარად იყო. კერძოდ, მოსკოვმა არ დაიშურა ძალისხმევა მოექცია საქართველო იზოლაციაში იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა “ფაშისტურ სახელმწიფოს“, სადაც მძვინვარებდა “ტოტალიტარული რეჟიმი“. ისე აირ-დაირია მდგომარეობა, რომ მე იძულებული გავხდი უარი მეთქვა დასავლეთის ქვეყნებში გამგზავრებაზე.

მაგალითად, მე ვერ მოვახერხე ვწვეოდი შვეიცარიასა და კერძოდ, დავოსს იანვარში, უარი ვთქვი დანიის პარლამენტის მიწვევაზე სექტემბერში, და ვერ გამოვედი მიმართვით აშშ-ს კონგრესის წინაშე, მისი მიპატიჟების საფუძველზე. ყოველივე ეს არასწორად იყო ინტერპრეტირებული და აღქმული იქნა როგორც დასტური ჩემი სწრაფვისა იზოლაციისკენ, როგორც გამოხატულება ჩემი “ანტი-ევროპული“ და “ანტი-ამერიკული“ განწყობილებებისა.

სექტემბრიდან დაწყებული, “ქუჩის ოპოზიცია“, კრიმინალურ ელემენტებთან და მაფიასთან შეთანხმებით, უკვე მზად იყო მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიის გასაჩაღებლად. ისინი მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას, კოალიციური მთავრობის შექმნას და ახალი არჩევნების დანიშვნას. ამ ელემენტების მხრიდან არაერთხელ ჰქონდა ადგილი თავდასხმებს პარლამენტის შენობაზე, რასაც მოჰყვა სისხლის ღვრა და არეულობები. მათ დაიკავეს საქართველოს ტელევიზიის შენობა და იერიში მიიტანეს თბილისის ცენტრალურ ელექტრო გადამცემ სადგურზე. მე მრავალგზის მოვუწოდე შეიარაღებულ ოპოზიციას დიალოგისკენ, მაგრამ ამაოდ.

ნოვო-ოგარიოვოს პროცესის ჩაშლამ და სსრ კავშირის დაშლის გარდუვალობამ საბჭოთა ქვეყნის მეთაურები ჩააფიქრა, მათ გადაწყვიტეს შეექმნათ იმპერიის ახალი მოდელი, ე.წ. დსთ, რომლის დაფუძნება გათვალისწინებული იყო 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში, სადაც რესპუბლიკათა მეთაურებს უნდა დაედასტურებინათ თავიანთი თანხმობა ახალ კავშირში გაწევრიანების თაობაზე.

ჩემი უარი ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე გახდა მიზეზი მოსკოვის საბოლოო გადაწყვეტილებისა - დაემხოთ საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლება. მართლაც, დრო უქმად არ დაუკარგავთ.

დეკემბრის 21-ს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ალმა-ათის შეხვედრა მოექცა, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ დიდძალი ხალხი შეიკრიბა. შეკრებილი საზოგადოების ერთი ნაწილი კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი იყო, ხოლო მეორე ნაწილი კი, ე.წ. შეიარაღებული “ოპოზიცია“, რომლის რიგებში რუსეთის არმიის ოფიცრებიც გახლდნენ. ქუჩებში გამოჩნდა მძიმე სამხედრო ტექნიკა.

მთავრობის მოწინააღმდეგე ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს ხელისუფლების მომხრეთ. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

ამგვარად, “ოპოზიციამ“ წამოიწყო თავისი გეგმის ფინალური ნაწილის განხორციელება, კერძოდ, უნდა დაემხოთ “დიქტატურა“ და დაემყარებინათ “დემოკრატია“ ძალისმიერი, სისხლიანი გზით, როგორც ასწავლიდათ ლენინი.

ამგვარი სიცრუითა და მზაკვრობით აღსავსე გეგმის მეშვეობით, შევარდნაძემ და მისმა მიმდევარმა პუტჩისტთა ჯგუფმა მოსკოვის მხარდაჭერითა და დახმარებით წამოიწყეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და ძალაუფლების უზურპაციის პროცესი. მე მრავალგზის ღიად გავაფრთხილე ქართველი ხალხი და მსოფლიოს მთავრობები მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, მაგრამ ჩემმა გაფრთხილებამ ფუჭად ჩაიარა.

მეორე დღეს, 1991 წლის 22 დეკემბერს ე.წ. ოპოზიციამ დაიკავა პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია: სასტუმრო “თბილისი“ და ქაშუეთის ეკლესია, საიდანაც ცეცხლი გახსნა მძიმე არტილერიისა და ბომბდამშენების გამოყენებით. სნაიპერები განალაგეს მიმდებარე შენობების სახურავებზე. პარლამენტის შენობას იცავდნენ პრეზიდენტის ერთგული ეროვნული გვარდიის წევრები, რომელთა მოტყუება და გადაბირება ვერ მოახერხეს შევარდნაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, თუმცა, მათ არ ჰქონდათ სათანადო შეიარაღება და საკმარისი ტყვია-წამალი. პარლამენტის შენობაზე შეტევის დროს “პუტჩისტებმა“ გაანადგურეს და დაწვეს თითქმის ყველა შენობა, მათ შორის სამხატვრო გალერეა, სამხატვრო სკოლა და დედაქალაქის საუკეთესო სკოლა (წინათ წარჩინებულთა გიმნაზია) და სხვა შენობები. დედაქალაქის მთავარი ქუჩა-რუსთაველის პროსპექტი ნანგრევებად იქცა. ჩემი სახლი, რომელშიც იმყოფებოდა ჩემი მეუღლე და ორი ბავშვი ალყაში მოაქციეს და დაბომბეს. იყო ჩემი ოჯახის მძევლად აყვანის მცდელობაც, მაგრამ პრეზიდენტის დაცვამ, როგორც იმჟამად ეწოდათ ეროვნული გვარდიის ერთგულ წევრებს, ბრონირებული მანქანით გადმოიყვანეს ისინი პარლამენტის შენობაში. სახლიდან ჩემი ოჯახის წევრების წამოსვლის შემდეგ, იგი ჯერ გაძარცვეს, ხოლო შემდეგ დაწვეს. ეჭვგარეშეა, რომ ბოროტმოქმედთ ამაზე “ოპოზიციის“ თანხმობა ჰქონდათ.

საქართველოს პარლამენტზე თავდასხმა, რომელიც 16 დღეს გაგრძელდა, არაადამიანურობითა და ბარბაროსობით გამოირჩეოდა. სნაიპერები ესროდნენ ყველას, ვინც კი შენობას მიუახლოვდებოდა, მათ შორის სასწრაფო დახმარების მანქანებს, მედპერსონალს და მეხანძრეებს, რომლებსაც არ აძლევდნენ ცეცხლის ჩაქრობის საშუალებას. მრავალი სახლი ნაცარტუტად იქცა და ასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ. პარლამენტის დამცველები თბილისის საავადმყოფოებში დახოცეს “ოპოზიციონერებმა“. აი, ასეთი ხალხი იბრძოდა “დემოკრატიისთვის“.

დეკემბრის ბოლოს შეიარაღებულ “ოპოზიციას“ რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოუერთდა. “ოპოზიციამ“ ყველა დაწვარი ტანკის სანაცვლოდ ახალი ტანკები მიიღო. მათი მთავარი ბაზა - მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი ვერ იტევდა სატვირთო მანქანებით მოტანილ ტყვია-წამალსა და იარაღს.

რაკეტებისა და ჭურვების ტყორცნის სიზუსტე იმდენად დიდი იყო, რომ აშკარას ხდიდა “ოპოზიციონერ“ პუტჩისტთა მხარდამხარ საბჭოთა სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობას. უფრო მეტიც, პარლამენტის დამცველთა მიერ განადგურებულ რამდენიმე ტანკში საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა გვამებიც კი აღმოჩნდა.

1991 წლის 27 დეკემბერს პრეზიდენტის რაზმმა ბ.ქუთათელაძის მეთაურობით, რომელსაც ევალებოდა სატელევიზიო ანძის დაცვა, უღალატა პრეზიდენტს და ანძა “ოპოზიციას“ გადასცა. 1992 წლის 2 იანვარს ამ ძალებმა შექმნეს “სამხედრო საბჭო“ და “დროებითი მთავრობა“, რომელშიც შედიოდნენ თ.სიგუა, თ.კიტოვანი და კრიმინალურ სამყაროსთან მჭიდროდ დაკავშირებული ციხიდან ახლადგანთავისუფლებული ჯ.იოსელიანი. იმავდროულად ციხეებიდან გამოუშვეს დაახლოებით 4 000 სისხლის სამართლის დამნაშავე, რომლებსაც დაურიგეს იარაღი და უბრძანეს შეერთებოდნენ “დემოკრატიისთვის მებრძოლ არმიას“.

პუტჩისტების წინააღმდეგ ომი, რომელთა მხარდამხარ იბრძოდა საბჭოთა შეიარაღებული ძალები, სხვა არაფერს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას გარდა სისხლის ღვრისა და ნგრევისა, ამიტომ მე და ჩემმა ერთგულმა დამცველებმა 1992 წლის 6 იანვარს, ტყვიების ქარ-ცეცხლში დავტოვეთ პარლამენტის შენობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# SOVIET ANALYS Vol 21, 9-10. April, 1993

აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ, ჩვენ ჩავედით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, რომლის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა დროებითი თავშესაფარი მოგვცა. ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოდან მე გავუგზავნე მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მსოფლიოს ხალხებს და მთავრობებს.

სამწუხაროდ, სისხლის ღვრა თბილისსა და მთელს საქართველოში გრძელდებოდა. ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდგომ, 1992 წ. 6 იანვარს, ხუნტამ გააძლიერა რეპრესიები და ტერორი, სასტიკად იდევნებოდნენ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის მომხრეები, რამდენიმე ასეული ადამიანი იქნა მოკლული თბილისსა და დედაქალაქის დასავლეთით მდებარე რეგიონებში. თბილისში გამართულ მანიფესტაციებში ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. ამ მანიფესტაციების დროს დახვრიტეს ასამდე ჩემი მხარდამჭერი, რამდენიმე ასეული დაიჭრა და მრავალი დაპატიმრებულ იქნა.

ჩემთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ე.წ. შეიარაღებული "ოპოზიციის" ძირითად ბირთვს კრიმინალები წარმოადგენდნენ - ეს ფაქტი უკვე ეჭვს აღარ იწვევს. თვით ხუნტის მიერ დანიშნულმა გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემაც კი მიუთითა ამაზე. პროკურორის ეს აღიარება მოგვიანებით გამოქვეყნდა გაზეთის "საქართველოს რესპუბლიკა" 1992 წლის 25 თებერვლის ნომერში.

დღისით ხუნტას იერიში მიაქვს მშვიდობიან საპროტესტო აქციათა მონაწილეებზე, ხოლო ღამით ძარცვავს და ატერორებს მოსახლეობას.

უკანონო ხუნტა დროთა განმავლობაში იწყებს სადამსჯელო ღონისძიებათა გატარებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, სადაც კვლავ გრძელდება საპროტესტო გამოსვლები, გამოწვეული კანონიერი ხელისუფლების დამხობით.

საქართველოს არაოფიციალურ პრესაში, კერძოდ, გაზეთებში "ქართული აზრი", "აღდგომა" და "საქართველოს ცის ქვეშ" აღწერილია ის ბარბაროსობა და სასტიკი ტერორი, რომელსაც ხუნტის შეიარაღებული ძალები კვლავაც ახორციელებენ ქართველი მოსახლეობის მიმართ.

აღმოსავლეთ საქართველოში საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო! გურჯაანში, თელავში, ახმეტასა და ქარელში, თუმცა, ხუნტის სადამსჯელო ოპერაციების ჩატარების შემდეგ აქციები შეწყდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც ხუნტამ დიდად ვერ მოიკიდა ფეხი, აქტიური წინააღმდეგობა დღემდე გრძელდება. ამის თაობაზე ხუნტა ავრცელებს მოსაზრებას, რომ ვინაიდან მე დასავლეთ საქართველოდან ვარ წარმოშობით, ვითომ ამიტომ ვპოვებ მეტ მხარდაჭერას აქ, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში. სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ არჩევნების დროს მე ერთნაირი მხარდაჭერა მქონდა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში, კერძოდ, საგარეჯოს, ქართლის, კახეთის, მესხეთისა და სხვა კუთხეების მოსახლეობაში.

ნამდვილი მიზეზი უკანონო ხუნტის მიმართ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობისა განპირობებულია ხუნტის რაზმების არათანაბარი განლაგებით საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, მისი ძირითადი ძალები კონცენტრირებულია თბილისსა, საგარეჯოსა და კახეთის სხვადასხვა რაიონებში, ამ ტერიტორიების გაკონტროლებას ხუნტა იოლად ახერხებს. ზუგდიდში, წალენჯიხაში, სენაკში, მარტვილსა და ხობში ხუნტამ ჩაატარა რამდენიმე სადამსჯელო ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში "ურჩი" მოსახლეობის დასაშინებლად.

აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი 1992 წლის თებერვალში მოსკოვში თავისი ვიზიტის დროს შეხვდა ე.შევარდნაძეს და საქართველოს ე.წ. დროებითი მთავრობის მეთაურს თ.სიგუას. არაოფიციალური შეხვედრებისას და მოლაპარაკების დროს მომზადდა ნიადაგი შევარდნაძის - საქართველოს ყოფილი საძულველი კომუნისტი დიქტატორის, თბილისში დასაბრუნებლად. შევარდნაძე იძლეოდა "პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის, მშვიდობისა და "დემოკრატიული არჩევნების" გარანტიებს. სახელმწიფო მდივნის თბილისში ყოფნის დროს, მე მას გავუგზავნე საპროტესტო დეპეშა.

მალე შევარდნაძეც ჩამობრძანდა თბილისში. აეროპორტში მას დახვდნენ "მხედრიონის" განგსტერების ჯგუფი, მილიციის თანამშრომლები და მისი მხარდამჭერი ნომენკლატურული ინტელიგენცია. იგი განსაკუთრებული სითბოთი მიესალმა ნომენკლატურულ, წითელ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღით ხელში დაამყარა "დემოკრატია" საქართველოში. ჩამოსვლისთანავე შევარდნაძე "აირჩიეს" ახალი ანტიკონსტიტუციური ორგანოს, ე.წ. "სახელმწიფო საბჭოს" მეთაურად. "სახელმწიფო საბჭო" გახლდათ იგივე "სამხედრო საბჭო", ოღონდ უფრო გაფართოებული და უფრო სასტიკი, ვიდრე მისი წინამორბედი.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რეპრესიებმა და ტერორმა მისი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. ისინი კი შეუპოვრად განაგრძობდნენ ხალხმრავალი აქციების ჩატარებას, ამჯერად მისი ჩამოსვლისა და მის მიერ ძალაუფლების უზურპაციის პროტესტის ნიშნად. სადამსჯელო ოპერაციები კვლავ ტარდებოდა დასავლეთ საქართველოში, ოღონდ ადრინდელთან შედარებით, ისინი კიდევ უფრო მეტი სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა.

ამასობაში რუსეთის სამხედრო უწყება მეტი გულმოდგინებით უჭერს მხარს ხუნტასა და მის ტერორისტულ ფორმირებებს, უხვად აწვდის მას საბრძოლო აღჭურვილობას, აგზავნის საქართველოში სამხედრო სპეციალისტებს.

შევარდნაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ კვლავ მოხდა თავდასხმა ჩემს სახლზე, მდებარე გალის ქ.19, კიდევ ერთხელ გაიძარცვა და დაიწვა სახლი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, წარმოადგენს მამაჩემის, ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს.

დასავლეთის პოლიტიკოსები, ისევე როგორც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მეტწილად დუმილს არჩევენ. არას ამბობენ საქართველოში გაბატონებული ტერორის, ბარბაროსობისა და ვანდალიზმის შესახებ, რომელიც მოჰყვა ხუნტის მიერ ხელისუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდებას. გამონაკლისს წარმოადგენს ფინეთისა და შვეიცარიის პრესა, რომელიც მართლად აღწერს საქართველოში არსებულ ტერორისტულ რეჟიმს და იმ დანაშაულობებს, რომელთაც ის სჩადის. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, წითელი ჯვარი და ადამიანის უფლებათა დაცვის მრავალი ორგანიზაცია არაფერს ამბობენ საქართველოში გამეფებული სახელმწიფო ტერორის თაობაზე, ქართველი ხალხის უფლებათა ხელყოფაზე.

ცინიზმის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში 1992 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. მაშინ, როდესაც ჯ.ბეიკერი ულოცავდა ამ დღეს შევარდნაძესა და მის უმეცარ მხარდამჭერთ, რესპუბლიკის მოედანზე, სასტუმრო "ივერიის" წინ, მისგან 200 მეტრის დაშორებით ძალებით შეიარაღებული "მხედრიონელები" და მილიციელები სასტიკად არბევდნენ პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგს. ბეიკერს მშვენივრად ესმოდა სროლის ხმა, მაგრამ უდრტვინველად განაგრძობდა სიტყვის კითხვას.

CSCE-ს შეკრება გაიმართა ჰელსინკში ივლისის დასაწყისში. მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი და დამაარსებელი საქართველოში ჰელსინკის ჯგუფისა 1975წ, მიწვეული ვიყავი ამ შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფის მიერ. ბატონ ჰეიკი რიიჰიავის სამგზის მოთხოვნას, დაეშვათ ვიზა ჩემს სახელზე, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარით უპასუხა. მინისტრმა აცნობა ბატონ რიიჰიავს და ქალბატონ აილა ნინიმა-კემპს, - საქართველო-ფინეთის საზოგადოების თავჯდომარეს, რომ ჩემი ფინეთში ჩამოსვლა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ჰელსინკის შეხვედრის დასრულების შემდეგ. ჩემი ვიზიტის გადადების თაობაზე ფინეთის საპარლამენტო ჯგუფს არავითარი ახსნა-განმარტება არ მიეცა ისევე, როგორც უკომენტაროდ დარჩა საკითხი, თუ რატომ დართეს "მხედრიონის" კრიმინალურ ფორმირებას და სუკის ოფიცრებს ფინეთში შესვლის უფლება მაშინ, როდესაც მე უარი მივიღე. ამასობაში შევარდნაძე მონაწილეობს ჰელსინკის შეხვედრაში, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის დესპანი.

ამგვარი ქმედებით CSCE-მ დაარღვია მოსკოვის შეხვედრის დროს მიღებული დოკუმენტების დებულება (10 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე), კერძოდ, მუხლი 17.2, რომელიც იუწყება:

"იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, ან სახელმწიფო გადატრიალება სისრულეში იქნა მოყვანილი, ე.ი. დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება დამხობილ იქნა არადემოკრატიული გზით, მაშინ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები გაერთიანებული ერების ქარტიის შესაბამისად თანამშრომლობენ და ურთიერთობას ამყარებენ მოცემული ქვეყნის კანონიერ ორგანოებთან".

საქართველოს შემთხვევაში ეს დებულება საპირისპიროდ იქნა განხორციელებული. "ლიცენზია მკვლელობაზე" - ასე დაახასიათა ფინეთის ერთ-ერთმა გაზეთმა CSCE-ს ქმედება, რომლის ლოცვა-კურთხევით შევარდნაძის სისხლიანმა რეჟიმმა სახელმწიფო ტერორი მთელს საქართველოში ორმაგად გაამძვინვარა. ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან ამიერიდან შევარდნაძეს არა მარტო გაერთიანებული ერების, არამედ CSCE-ს მხარდაჭერის იმედიც მიეცა. იმის გამო, რომ ხუნტის ავაზაკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ, თავდაცვის მიზნით, შექმნა შეიარაღებული ჯგუფები მოროდიორებთან და მძარცველებთან საბრძოლველად. ხუნტის ხელში ჩავარდნილმა მრავალმა პარტიზანმა ტანჯვა-წამებაში დალია სული.

როგორც იუწყება "სოვიეთ ანალისტი" 1992წ. 24 ივნისის ნომერში, შევარდნაძის საიდუმლო სამსახურმა გაითამაშა "სახელმწიფო გადატრიალების" მცდელობა. რამდენიმე ჩემი მხარდამჭერი მოტყუებით შეიყვანეს ტელევიზიის შენობაში იმ მოტივით, რომ თითქოს მათ ექნებოდათ საშუალება მიემართათ ქართველი ხალხისთვის პირდაპირი ეთერით. შენობაში შესვლისთანავე ისინი დააპატიმრეს და სასტიკად აწამეს.

შევარდნაძის ხუნტამ ტელევიზიით ამცნო მოსახლეობას, რომ "სახელმწიფო გადატრიალების" მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მოვლენათა დრამატიზების მიზნით, იოსელიანის დაქვემდებარებაში მყოფმა ფორმირებებმა გაითამაშეს ბრძოლის სცენა, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ამის შემდგომ პროვოკატორებმა "აღიარეს", რომ ვითომდა ინსტრუქციები ამგვარი ტერორისტული მოქმედებისა მე მიმეცა. საპასუხოდ, შევარდნაძეს გავუგზავნე დეპეშა, სადაც ვადანაშაულებდი იმაში, რომ იგი ჩემი დისკრედიტაციის მიზნით იყენებს სტალინ-ბერიასეულ უღირს ხერხებს.

ახლა დავუბრუნდეთ შევარდნაძის პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა საკითხში. თავის ადრეულ პროპაგანდისტულ გამოსვლაში შევარდნაძე მე მიწოდებდა "ფაშისტს", "ნაციონალისტს" და "ეროვნულ უმცირესობათა დაუძინებელ მტერს". დღეს მისი დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობებთან შემოიფარგლა არა უბრალოდ მათი ავტონომიების აკრძალვით, არამედ მათ წართმეული აქვთ უფლება სიცოცხლისა და არსებობისა. 1992 წლის 11 აგვისტოს "სახელმწიფო საბჭოს" ჯარებმა დაიწყეს სადამსჯელო კამპანია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. შევარდნაძე და "სახელმწიფო საბჭო" ირწმუნებოდნენ, რომ ეს ღონისძიება საჭირო იყო რეგიონში წესრიგის აღსადგენად და სარკინიგზო მაგისტრალის გასაკონტროლებლად. საქმე ისაა, რომ შევარდნაძის ჯარების შესვლის შემდეგ არა თუ დამყარდა წესრიგი ამ რეგიონში, არამედ იგი მოიცვა არნახულმა საყოველთაო არეულობამ, ანარქიამ, მოსახლეობის გენოციდი სახეზეა, მთლიანად გადამწვარ-გადაბუგულია რამდენიმე ქალაქი და სოფელი. შევარდნაძის ნამდვილი მიზანი ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობა გახლდათ.

სავსებით ნათელია, რომ [illegible] ომის მთავარი მიზეზია შევარდნაძის სურვილი დაამყაროს დიქტატურა და კრიმინალური მმართველობა.

1992 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თ. კიტოვანმა მოსკოვის ტელევიზიით განაცხადა, რომ საქართველოში უნდა მოისპოს ავტონომიური რეგიონები და ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს სამხედრო გზით. მარტო ამგვარი განცხადება კმარა იმისთვის, რომ მიხვდე, მიუხედავად "დემოკრატიული არჩევნებისა", საქართველოში კვლავ ბატონობს ტერორი, ქვეყანას მართავს კრიმინალური ხუნტა და შევარდნაძის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვითომ საქართველოში უპირატესად ადგილი აქვს "სამოქალაქო მმართველობას", ეს, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუეა.

აფხაზეთის ომში ჩრდილოკავკასიელთა ჩათრევით, შევარდნაძე და მისი ხუნტა კავკასიაში ამზადებენ ახალ იუგოსლავიას. დასავლეთ საქართველო, აფხაზეთის ჩათვლით, დანგრეულია, ათასობით ლტოლვილი ტოვებს ყოველდღიურად იქაურობას.

შევარდნაძე დიდად ამაყობს იმ ფაქტით, რომ იგი გვევლინება "დემოკრატიულად არჩეული" პარლამენტის თავმჯდომარედ. უცნაურია, რომ "არჩევნებიდან" მხოლოდ 15 დღის შემდეგ გამოქვეყნდა არჩევნებში გამარჯვებულთა არასრული სიები, ძალთა თანაფარდობა, რა თქმა უნდა, შევარდნაძის სასარგებლოდ გადაწყდა. "არჩეულთა" შორის გვხვდება კარგად ცნობილი ნომენკლატურ-პლუტოკრატთა გვარები, მათ გვერდს უმშვენებენ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენათა ჯალათები და მაფიის ბოსები.



დანარჩენ "კანდიდატთა" სიები დიდი დაგვიანებით გამოქვეყნდა, ვინაიდან მათ შორის მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა ერთადერთი აზრით, ეამებინათ ნომენკლატურული "პარლამენტარებისთვის" და საქმითა და სიტყვით ერთგულება დაემტკიცებინათ "ეპიკურისთვის", - ვინაიდან ეს იყო საზომი მათი გამარჯვების ან დამარცხებისა.

ყველას გასაოცრად, 1992 წლის 21 ოქტომბერს შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ პირველი სესია გადაიდო გაურკვეველი ვადით საქართველოში "გართულებული მდგომარეობის" გამო. სესიის გადადების მიზეზი კი გახლდათ ის, რომ უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა "დეპუტატებს" და კიტოვანს შორის, რომელიც ახალი პუტჩით იმუქრებოდა და მისი მეშვეობით უზურპირებული ძალაუფლების ხელიდან გაშვება არ სურდა.

რაც შეეხება შევარდნაძის დაუსრულებელ ტრაბახს საბაზრო ეკონომიკასა და ქვეყნის აყვავების თაობაზე, საქმე სრულიად საპირისპიროდ გახლავთ. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია.

რუსეთის ფედერაციამ საქართველოს გამოუყო 20 მილიონი მანეთის კრედიტები (მოსკოვის გაზეთ "კურანტზე" დაყრდნობით, 1992წ. ოქტომბერი №59), აშშ და თურქეთი დაეხმარა საქართველოს რამდენიმე მილიონი დოლარით. ყველა ზემოხსენებული კრედიტი თუ ჰუმანიტარული დახმარება არ მიდის დანიშნულების ადგილამდე, იგი ხმარდება ოფიციალურ პირთა პირად ინტერესებს, აფხაზეთის ომსა და დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში) სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას.

პრივატიზაციის შედეგად, მთელი ეროვნული სიმდიდრე, კიტოვანის, იოსელიანის და ხუნტის სხვა წევრების ბრძანების თანახმად, გადანაწილდა ნომენკლატურული მაფიის ბოსებს შორის.

გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკისა და შიმშილის ზღვარზე იმყოფება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დასავლეთ საქართველოში აგრარული სექტორის სრული პარალიზება. სოფლის მეურნეობის განადგურება გამოწვეულია მრავალი მიზეზით, კერძოდ, სამოქალაქო ომი, საწვავის ნაკლებობა, სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობისა და ტექნოლოგიის არ არსებობა და ქაოსი, რომელიც მოჰყვა პრივატიზაციას. ყოველივე ეს გახდა წინაპირობა მეურნეობის გაპარტახებისა. ნომენკლატურის სასარგებლოდ ჩატარებული მიწის პრივატიზაცია (ანუ ნომენკლატურული პრივატიზაცია, როგორც მას უწოდებენ) მოკლებულია ყოველგვარ საკანონმდებლო საფუძველს. არ არსებობს კანონი კერძო საკუთრებისა და მიწის შესახებ, რაც იწვევს გაუთავებელ დავას მიწისმფლობელებსა და ყოფილ კოლმეურნეებს შორის, გამომდინარე აქედან, გაურკვეველია, თუ ვის ეკუთვნის წარმოებული პროდუქცია, ყოველივე ამას თან ახლავს უსასრულო ძარცვა-გლეჯა და ბანდიტიზმი, რომელსაც მივყავართ საგალალო შედეგებამდე.

უკანონო ხელისუფლების საინფორმაციო საშუალებებიც კი ვერ მალავენ, რომ ყოველდღიურად მარტო თბილისში შიმშილით კვდება 3-5 ადამიანი. ჩვენი აზრით, ეს მონაცემები საგრძნობლად შემცირებულია, შიმშილით დახოცილთა რიცხვი ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ ადამიანს შეადგენს.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმი გამუდმებით არღვევს გაერთიანებული ერების ქარტიის, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის დებულებებს, წინააღმდეგობაშია ყველა ძირეულ საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, როგორიცაა: ჰელსინკის შეთანხმება და პარიზის ქარტია; უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებისა და ძირითად თავისუფლებათა საკითხებს.

არსებული რეჟიმი იყენებს უხეშ ძალასა და ტერორს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი იარაღია.

ამგვარ რეჟიმს არა აქვს უფლება წარდგეს გაერთიანებული ერებისა და CSCE-ს ფორუმზე. ამ ორგანიზაციებმა უნდა გამოაძევონ იგი თავისი რიგებიდან. დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელმაც მიიყვანა საქართველო სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კატასტროფამდე, კიდევ მრავალი უბედურების მოტანა შეუძლია, კერძოდ, გამოიწვიოს დესტაბილიზაცია და საომარი მოქმედებანი მთელს კავკასიაში, რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელების საშიშროებით, რის გამოც კიდევ უფრო გაღრმავდება არსებული მსოფლიო კრიზისი.

მე, საქართველოს კანონიერი, დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი დევნილობაში, მოგმართავთ თქვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს პარლამენტებსა და მთავრობებს, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებს, ყველა საერთაშორისო პოლიტიკურ თუ რელიგიურ ორგანიზაციებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, დაეხმაროთ საქართველოს მისი უბედურების ჟამს, დაგმოთ შევარდნაძის რეჟიმის მიერ დანერგილი სახელმწიფო ტერორი და გამოუცხადოთ მას სრული ბოიკოტი, მოითხოვოთ და დაეხმაროთ საქართველოს კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის აღდგენაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხერხდება დემოკრატიული განვითარების, მშვიდობის, სტაბილიზაციის დამყარება საქართველოსა და მთელს კავკასიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოჩუბეი, 1978, ზვიად გამსახურდია

**ვაჟა ჩოფიკაშვილი გავიცანი ერთი მეგობრის ოჯახში. ზვიად გამსახურდიაზე ჩამოვარდა სიტყვა და მან გაიხსენა: ბატონ ზვიადს მეც ვიცნობდი. 1978 წელს ყიზლარში რომ გადაასახლეს, იქ შევხვდით. იმ დროს მე კოჩუბეიში ვმუშაობდი ზამთრის საძოვრების ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ... ეს თქვა და იმ საღამოს "საერთო რეგლამენტის" დიდი წილიც სწორედ მან გამოიყენა. ჩვენ კითხვებით ვკმაყოფილდებოდით, ის ყვებოდა...**

ვიდრე გავიცნობდი, ზვიად გამსახურდიაზე ბევრი რამ გამეგონა; ავიც და კარგიც: გაზეთები და ტელევიზია აუგად იხსენიებდნენ, საქართველოს და საბჭოეთის მოღალატეს, გამცემს უწოდებდნენ. ბევრი მას თანაგრძნობით და იმედით შეჰყურებდა, მისი სიმართლე სწამდა, მაგრამ ამხელა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრობად მიაჩნდა. ცოდვა გამხელილი ჯობს და, მაშინ, მეც ასეთი ადამიანების რიცხვს მივეკუთვნებოდი. არ მჯეროდა...

ხმა გავარდა - ზვიად გამსახურდია კოჩუბეიშიაო და მოგვაწყდა ხალხი. ჩამოდიოდნენ მეზობელი დასახლებებიდან, შორეული სოფელ-ქალაქებიდან. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა კაცი, რომელიც ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ აღდგა, ვინც ბრძოლა გაუბედა ურჩხულს. მოდიოდნენ რუსები, ლეკები, ჩეჩნები, ინგუშები... ჟურნალისტები, მეცნიერები, დისიდენტები... აგენტები, ჯაშუშები, ზედამხედველები...ისინი, რა თქმა უნდა, აშკარად ვერ ბედავდნენ იმის გამჟღავნებას, რომ გამსახურდიას სანახავად იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ ცდილობდნენ დაენახათ მაინც კაცი, რომელიც ზოგისთვის გმირი იყო, ზოგისთვის - მოღალატე, ზოგისთვის კი - თავზეხელაღებული, უპერსპექტივო საქმის შეჭიდებული რაინდი.

რანაირი ხალხი არ მინახავს ბატონ ზვიადთან... ერთნი ჩურჩულით არიგებდნენ: "რა გინდა, რას ეჭიდები, ვინ შესძლებს "ესესერის" დანგრევას; თავი დაანებე ამ საქმეს, ნურც თავს იუბედურებ და ნურც შენს ოჯახს წირავო...

ზოგი ცინიკურად უყურებდა, დაცინვითაც ბევრს დაუწყია მასთან ლაპარაკი, მაგრამ მალევე ტონიც შეუცვლია და დამოკიდებულებაც ზვიადის მიმართ... საოცარი შინაგანი ძალა ჰქონდა. 2-3 თვეში რუსებისთვისაც, ლეკებისთვისაც, ჩეჩნებისთვისაც ღმერთის ტოლ კაცად იქცა. იმ რადიო-ტელევიზიით მოტყუებულთა ცინიკური დამოკიდებულება მოკრძალებამ შეცვალა. ყველამ იგრძნო, რომ მათ წინაშე უდიდესი მასშტაბის ადამიანი იდგა. ლეკების ერთ-ერთი სტუმრობის დროს ისინი დასხა და დაღესტნის ისტორიაზე, კავკასიის ბრძოლებზე, კავკასიელ ხალხთა საერთო წარმომავლობაზე ელაპარაკა. ლეკები უდიდესი კრძალვით, გარინდებულები უსმენდნენ. ბოლოს დიდი მადლობა მოახსენეს და ღრმად დაფიქრებულები წავიდნენ. გავიხედე, და მეორე დღეს ლეკების სხვა ჯგუფი მოვიდა, მესამე დღეს-სხვა და ა.შ. დაპატიჟეს კიდეც, მაგრამ ბატონ ზვიადს ასე შორს წასვლა აკრძალული ჰქონდა.

კოჩუბეიში ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ისინი 40-50 წლის წინ იყვნენ ჩამოსახლებულები და ქართულად ძლივსღა ახერხებდნენ ლაპარაკს, წერა-კითხვა კი სულ არ იცოდნენ. შვილები თითქმის მთლიანად გარუსებულები ჰყავდათ. ამ ხალხმა მხოლოდ სასუფროდ იცოდა თავიანთი ქართველობის ამბავი. ზვიადმა, რომ იტყვიან, წალმა შემოაბრუნა ეს გარუსების პირას მისული ქართველები. ბიბლიოთეკაში, სადაც მთელ დროს ატარებდა, იბარებდა ბავშვებს და ქართულ ანბანს ასწავლიდა. ამ გაკვეთილებს ზოგჯერ მეც ვესწრებოდი. მე თავი განათლებული მეგონა, მაგრამ, თურმე, სადა ხარ! რამდენი რამ არა მცოდნია. ახლაც ვნატრობ, ნეტავ ერთხელ კიდევ დამსვა იმის მოსასმენად. ბავშვები თვალებანთებულები შეჰყურებდნენ მშობლიური მიწიდან მოვლენილ ამ კაცს. ზვიად გამსახურდია მათთვის საქართველო იყო. გაკვეთილებზე ისმოდა წმინდა სიტყვები: დიდგორი, ასპინძა, კრწანისი, დავით აღმაშენებელი, ილია, აკაკი, ვაჟა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ეროვნული ღირსება...

ეს სკოლა მალევე გაუუქმეს, მაგრამ მოწაფეებში, ალბათ, სამუდამოდ დარჩა მისი საუბრები. ძალიან განიცდიდა: - ეს რა უბედური ხალხი ვართ, ჩვენი ძმები თვალდათვალ გვირუსდებიან და ვერაფერს ვაკეთებთო - მწარე სინანულით იტყოდა ხოლმე დიდი ერისკაცი.

მოხევეები, მწყემსები, საერთოდ იქაურობა, გულით შეიყვარა ბატონმა ზვიადმა. განთავისუფლების მერეც რამდენჯერმე გვესტუმრა. საიგაკებზე სანადიროდ დავდიოდით. ხოცვის დიდი ტრფიალი, მოგეხსენებათ, არ იყო, მიზანში კი ბრწყინვალედ ისროდა. ხანდახან ერთი ჩვენი საერთო მეგობრის -უშანგი ხეთაგურის მანქანის საჭეს თავად მიუჯდებოდა და ტრიალ მინდორში გადიოდა. ის მანქანა ისევე აქვს ჩემს მეგობარს, არ ყიდის, - იყოს ზვიადის სახსოვრადო!

ერთხელ, ამ უშანგი ხეთაგურის სახლში სუფრას ვუსხედით. ქართულ ხალხურ სიმღერებს ვუსმენდით რადიოში. უცებ ცრემლი მოერია ბატონ ზვიადს. უხმოდ დალია სადღეგრძელო. ჩვენც გადმოგვედო ის ცრემლი, საერთო სატკივარმა აგვატირა. გასაოცარი დამოკიდებულება ჰქონდა ყველაფერი ქართულის მიმართ. ერთ რამედ ღირდა მასთან ერთად სუფრასთან ჯდომა. სულ ეგ იყო ხოლმე თამადა... მახსოვს, სუფრა ისე არ ჩაივლიდა მერაბ კოსტავას სადღეგრძელო არ დაელია. ამდენი კარგი სიტყვა მისგან სხვა ვინმეზე დახარჯული მე არ გამიგონია. მე მერეც, გადასახლების შემდეგაც ბევრჯერ შევხვედრივარ ბატონ ზვიადს მერაბთან ერთად და უნდა ვთქვა, რომ მეგობრის ასეთი სიყვარული არსად მინახავს. რაღაც სხვანაირი ურთიერთობა ჰქონდათ, სხვანაირად ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ეს ჩვეულებრივი ადამიანებსათვის დამახასიათებელი მეგობრული ურთიერთობა კი არ იყო, არამედ რაღაც უფრო მაღალი, ღვთაებრივი... მერაბის მოკვლით მართლაც მხარი მოსტეხეს ბატონ ზვიადს.

ერთი ამბავი მახსენდება: ერთხელ კოჩუბეიში ადგილობრივი პარტკომის არჩევნები ტარდებოდა. რაიონმა თავისი კანდიდატი გამოაგზავნა. ხალხს ის არ მოსდიოდა ჭკუაში და მე დამასახელეს. არჩევნების დღეს დიდძალი ხალხი შეიკრიბა საარჩევნო უბანში. ყველა მე მგულშემატკივრობდა, მაგრამ რაიკომმა თავისი გაიტანა და ვინც მათ უნდოდათ, ის გაიყვანეს. იქაურები ღელავდნენ. მეც, სადღაც, გული დამწყდა, მაგრამ რაღას ვიზამდით... გამოვედით გარეთ. ღამის ორი საათი იქნებოდა. შენობის წინ ხალხი იყო შეკრებილი, არ იშლებოდნენ. გავიხედე, ბატონი ზვიადიც იქ არა დგას?! ვიფიქრე, სად ესა და სად პარტიული კრება-მეთქი

ბატონო ზვიად, თქვენ აქ რა გინდათ? -ვკითხე. მოვიდა, ხელი ჩამომართვა: "გილოცავო!" - რას მილოცავთ, ბატონო ზვიად, გამაშავეს-მეთქი...

"ჰოდა, რომ გაგაშავეს და არ გაგაწითლეს იმას გილოცავო - გაიღიმა - წადი, ახლა კარგად დაიძინეო". ასე "მგულშემატკივრობდა", თურმე, ღამის ორ საათამდე. ეს იყო და ეს, ამ დღის მერე აღარც გამიხედია პოსტისკენ.

ასეთი საოცარი თვისება ჰქონდა: ისე მოხდენილად, ტაქტიანად მოგცემდა შენიშვნას, რომ ოდნავადაც არ იგრძნობდი



თავს შეურაცხყოფილად. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, ერთს ისეთნაირად შემოგხედავდა, რომ მაშინვე გასაგები გახდებოდა შენთვის ყველაფერი.

**გვიან დავიშალეთ. შუაღამე გადავიდა. ჩვენი ბინებისკენ მივეშურებოდით ჩაბნელებული ქალაქის ქუჩებით და თვალი ყველას იმ ცრემლში გვიცურავდა, ზვიად გამსახურდიას რომ მოადგა ქართული სიმღერების მოსმენის დროს - იქ, ჩრდილოეთ კავკასიაში, კოჩუბეიში... "მუმლი მუხასაო"...**

**დ. ბიბაური**

## გამარჯობა ძმაო ზვიად!

მივიღე შენი წერილი, ფრიად გამეხარდა. მე არა მიჭირს რა. ვარ ჯანმრთელად, ყოველმხრივ გვარიანად. საკითხავი აქ დროც არის და წიგნებიც. ვმუშაობ ქარხანაში, სახარატო ჩარხზე. შენ ალბათ მანდ მეცხვარეებში ხარ, საკითხავი დროც გექნება. ძალიან კარგი, რომ ხმა მომაწვდინე. ჩემს ამბებს მე სახლში მოვწერ ხოლმე და ისინი შეგატყობინებენ. ცოტნე ახლა ალბათ დიდი ბიჭი იქნება. შემატყობინე, რამდენ ხანს გაგრძელდება შენი "ყაზბეგობის" პერიოდი. დოდოს ამბები ზოგ-ზოგი რამ გავიგე. აბა, ყოჩაღად იყავი. მომიკითხე მანანა და ლელე. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

**შენი ძმა მერაბი**

ეს წერილი ნაჩქარევი გამოვიდა. წერილებს კიდევ მოგწერ უფრო ვრცლად. მაგრად და მხნედ იყავი.

25 ნოემბერი, 1978 წ.

## გამარჯობა ძმაო ზვიად!

შენც კარგად მოგეხსენება, გაურკვევლობაზე მეტად არაფერი მეჯავრება, ერთი სიტყვით, ასე იოლად არ ჩაუვლით ეგ ამბავი. კუთვნილის შერჩენა არ იქნების. ისიც კმარა, რაც გააკეთეს. საქართველო თუ მართლა რესპუბლიკაა, ქართველს ციმბირში რა უფლებებით ასახლებენ. არ გეგონოს საკუთარ ხვედრზე ვწუწუნებდე, მაგრამ როდესმე სერიოზულად დასმა ამ საკითხისა ურიგო არ იქნება. მოკლედ, კიდევ ვცდი საცდელს. ვნახოთ, რა გამოვა.

სხვა რა მოგწერო - თოვლი დნება...

თვენახევრიანი ტალახი, წყვილი ჩექმა და მისი ჯანი. ეს სილატაკე ჩვენებურ დიდებულ გაზაფხულს რომ შევადარო, თავისთავად დაწუწუნება გამოვა და არ ღირს. წუწუნი რას გვიქვია, ან რა ჩვენი საკადრისია წუწუნი. ამიტომ შენზე მუდამ იმედიანად ვფიქრობ. მჯერა კარგადა ხარ და მაგრად უნდა იყო. სიძნელეებთან გამკლავება თავად შენგან ვისწავლე და სხვისგან არ გესწავლება. ამიტომ მეტს არაფერს დავუმატებ. მარტოოდენ მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს აღდგომას გილოცავ წინასწარ და შენს სახლეულთან მოკითხვას გაბარებ.

**მერაბი**

1978 წელი

# დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ოპონენტები მის ერთ-ერთ "დანაშაულად" ასახელებენ "იზოლაციონისტურ" პოლიტიკას, მიმართულს ქვეყნის ალბანიზაციისა და კარჩაკეტილობისკენ. პრეზიდენტი, თურმე, წინააღმდეგი იყო საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდებისა...

ამგვარი მსჯელობის სრულ უსაფუძვლობას ზედმიწევნით ადასტურებს ის ოფიციალური დოკუმენტური წყაროები, რომლებიც მუდმივად ქვეყნდებოდა საქართველოს 1990 წლის დამლევისა და 1991 წლის ცენტრალურ პრესაში ("საქართველოს რესპუბლიკა", "ახალი საქართველო", "სვობოდნაია გრუზია", "თბილისი" და სხვ.). გთავაზობთ ამ მასალების მშრალ ჩამონათვალს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

**1990 წლის ნოემბერი**

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას მისასალმებელი წერილი გამოუგზავნა და საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარების სურვილი გამოთქვა ნიქოზიის (კვიპროსი) ერთ-ერთი უდიდესი ფირმის გენერალურმა მენეჯერმა ბატონმა სტივენ სიმიჩმა ("ახალი საქართველო", 25. 11. 90).

აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული კომპანიის პრეზიდენტმა, დოქტორმა რობერტ ფელდმანმა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას შესთავაზა საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხოვანი სასმელი წყლის ჩამომსხმელი წარმოების ორგანიზება ("ახალი საქართველო", 25.11.90).

ნოემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით, თბილისში ჩატარდა კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა შეხვედრა ("საქართველოს რესპუბლიკა", 20.11.90).

ნოემბრის დამლევს შედგა სამთავრობათაშორისო მოლაპარაკება ესტონეთის და საქართველოს ხელისუფლებათა წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკება დასრულდა ორ ქვეყანას შორის 1990 -95 წლებში ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით ("ახალი საქართველო", 27.11.90).

**1990 წლის დეკემბერი**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას წერილი გამოუგზავნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, დოქტორმა როჟე გო დინომ. მან პარიზში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია ბ-ნი ზვიად გამსახურდია ("ახალი საქართველო", 2.12.90).

კიევში ხელმოწერილ იქნა სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში 1991-95 წლებში თანამშრომლობის შესახებ ("საქართველოს რესპუბლიკა", 4.12.90).

21 დეკემბერს თბილისში ხელი მოეწერა ანალოგიურ ხელშეკრულებას მოლდავეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობათა შესახებ ("საქართველოს რესპუბლიკა", 23.12.90).

**1991 წლის იანვარი**

აშშ-ის კონგრესის წევრის ბ-ნ ბობ მაკ ივენის ინიციატივით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პატივსაცემად კაპიტოლიუმზე აღმართულ იქნა აშშ-ის ეროვნული დროშა ("საქართველოს რესპუბლიკა", 11.01.91).

10 იანვარს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას საქმიანი წერილი გამოუგზავნა ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ტრენტონის (იტალია) კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა რუდოლფო დე ნეგრო დე სან პიეტრომ. პროფ. დე სან პიეტროს თაოსნობით შეიქმნა წარმომადგენლობითი ასოციაცია "საქართველოს მეგობრები". ("საქართველოს რესპუბლიკა", 15.01.91).

25 იანვარს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას წერილობით მიმართა აშშ-ის ცნობილი ფირმის "სები ინტერნეიშნლ ლიმიტედ"-ის პრეზიდენტმა ბ-ნმა დევიდ სებმა და შესთავაზა საქართველოს სამრეწველო ორგანიზაციებთან მისი ფირმის თანამშრომლობა.

**1991 წლის თებერვალი**

11 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო საქართველოში ვიზიტად მყოფი თურქეთის სამთავრობო დელეგაცია თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის ბ-ნ ჯამრედდინ ქურთის მეთაურობით.

ხელმოწერილ იქნა მემორანდუმი ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. შეიქმნა თურქეთ-საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სამსახური და ა.შ. ("საქართველოს რესპუბლიკა", 12.02.91).

**1991 წლის მარტი**

23 მარტს დაბა ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ბ.ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ზვიად გამსახურდია. ხელმოწერილ იქნა ამ შეხვედრისა და ორ ლიდერს შორის მოლაპარაკებათა შესახებ ოქმი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ოქმში შიდა ქართლი მოიხსენება, როგორც "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რაც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმატება გახლდათ.

25 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ბ-ნი კარლ ოტო გრიან ბერნარი. ელჩმა განაცხადა, რომ თავისი ქვეყნის ხელისუფლების სახელით უფლებამოსილია განაცხადოს შვედეთის მიერ საქართველოს ანექსიის ცნობისა და სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე საქართველოს რესპუბლიკისთვის მხარდაჭერის შესახებ ("საქართველოს რესპუბლიკა", 27.03.91).

29 მარტს ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო საქართველოში არაოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ-ის ექს-პრეზიდენტი ბ-ნი რიჩარდ ნიქსონი.

ბ-ნმა ნიქსონმა მოიწონა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსი და ხაზგასმით მიუთითა, რომ "ყველა ხალხმა და მათ მიერ არჩეულმა მთავრობებმა თავად უნდა განსაზღვრონ საკუთარი ბედი."

31 მარტს აშშ-ის ექს-პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ ხმის მიცემას სხვადასხვა საარჩევნო უბნებში, თვალს ადევნებდნენ რა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე საყოველთაო - სახალხო რეფერენდუმის მსვლელობას("საქართველოს რესპუბლიკა", 30.03.91, 01.04.91).

**1991 წლის აპრილი**

1 აპრილს ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ბ-ნი რ.ბრაითვაითი. მეისალმა რა 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს, ელჩმა აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება იწონებს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაციას და მხარს უჭერს საქართველოს ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისთვის ("საქართველოს რესპუბლიკა", 02.04.91).

9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ აქტის მიღების დღეს, ამერიკის შეერთებული შტატების 102-ე კონგრესის პირველმა სესიამ მიიღო რეზოლუცია №94, რომლის ძალითაც კონგრესმა სცნო 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების ლეგიტიმურობა და მოუწოდა მოსკოვს, რათა მასაც გადაედგა ანალოგიური ნაბიჯი ("საქართველოს რესპუბლიკა", 11.04.91). ეს ტოლფასი იყო აშშ-ის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ ცნობისა.

**1991 წლის მაისი**

მაისის დამდეგს საქართველოს პრეზიდენტმა ბნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო წერილი შვეიცარიის მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ფრანსუა ლაშასგან. ბ-ნმა ლაშამ გამოთქვა სრული მხარდაჭერა საქართველოს ლიდერის პოლიტიკური კურსისადმი. მანვე ბ-ნი ზ.გამსახურდია მიიწვია მონტანას ავტორიტეტულ საერთაშორისო ფორუმზე და კონფერენციაზე, რომელზეც განხილული იქნებოდა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხები.

მაისის დამდეგს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ არპად გიონცის წერილი. წერილში მითითებულია, რომ უნგრეთის ხელისუფლება მხარს უჭერს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას და მის პოლიტიკურ კურსს.

11 მაისს ბ-ნმა ზ.გამსახურდიამ მიიღო ვაშინგტონის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით ("საქართველოს რესპუბლიკა", 14.05.91).

16 მაისს პრეზიდენტმა მიიღო აშშ-ის პოლიტიკურ და საქმიან წრეთა წარმომადგენლების დელეგაცია აშშ-ის კონგრესის ფონდის პრეზიდენტის ბ-ნ პოლ ვაისიგის მეთაურობით. დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს სურვილი ვაშინგტონში საქართველოს წარმომადგენლობის გახსნისა. აღინიშნა, რომ დაგეგმილია აშშ-ში "ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის" გახსნა, რომელიც პირველ ხანებში, ორ ქვეყანას შორის სრულფასოვან დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებამდე, გასწევს საქართველოს წარმომადგენლობის ფუნქციასაც ("საქართველოს რესპუბლიკა", 18.05.91).

16 მაისსვე ბ-ნმა ზ.გამსახურდიამ მიიღო საქართველოში 2- დღიან ვიზიტად მყოფი თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ბ-ნი ვოლკან ვურალი. განხილულ იქნა თურქეთში საქართველოს რესპუბლიკის, ხოლო თბილისში თურქეთის რესპუბლიკის საკონსულოების გახსნის საკითხი ("საქართველოს რესპუბლიკა", 17.05.91).

17 მაისს ბ-ნმა ზ.გამსახურდიამ მიიღო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტელეკომპანიის - "სი-ენ-ენ"-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი სტიუარდ ლური. გადაწყდა საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტთან "სი-ენ-ენ"-ის, ხოლო "სი-ენ-ენ"-ის ცენტრალურ ოფისში საქართველოს ტელევიზიის მუდმივი წარმომადგენლობების გახსნა ("საქართველოს რესპუბლიკა", 18.05.91).

**1991 წლის ივნისი**

18 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იცხაკ შამირის წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობისა ("საქართველოს რესპუბლიკა", 09.07.91).

21 ივნისს საქართველოს ლიდერმა მიიღო წერილი ინგუშეთის რესპუბლიკის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა ალმასკომის თავმჯდომარის ბ-ნ ისა ქოძოევისგან. წერილში მითითებულია, რომ 1991 წლის 20 ივნისს ბ-ნი ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა ხსენებული ალმასკომის საპატიო წევრად და ინგუშეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქედ ("საქართველოს რესპუბლიკა", 09.07.91).

**1991 წლის ივლისი**

13-15 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობითა და მხარდაჭერით, ბათუმში ჩატარდა შავი ზღვის აუზის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ("საქართველოს რესპუბლიკა", 19.07.91).

27 ივლისს თბილისში ხელმოწერილ იქნა სომხეთ-საქართველოს სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა შესახებ ("საქართველოს რესპუბლიკა", 30.07.91).

**1991 წლის აგვისტო**

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპარლამენტის დელეგაცია ცნობილი დანიელი ბიზნესმენის, ევროპარლამენტის დეპუტატის ბ-ნ ქრისტიან როვსინგის მეთაურობით. დელეგაცია მიიღო ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ. საუბარი შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკის კარდინალურ საკითხებს და ევროპარლამენტსა და ჩვენს ქვეყანას შორის ურთიერთობათა პერსპექტივებს. ბ-ნმა როვსინგმა ევროპარლამენტის მიწვევა გადასცა პრეზიდენტს ("საქართველოს რესპუბლიკა", 01.08.91).

აგვისტოს პირველ რიცხვებში თბილისში იმყოფებოდა რეიგანის დროს თეთრი სახლის ადმინისტრაციის სპიჩმაიკერი, აშშ-ის კონგრესის წევრი ბ-ნი დ.რორაბაკერი. მასთან ხანგრძლივი, საქმიანი დიალოგი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს. ბ-ნმა რორაბაკერმა პრეზიდენტს გადასცა კონგრესის ოფიციალური მიწვევა აშშ-ში ("საქართველოს რესპუბლიკა", 08.08.91).

საქართველოს რესპუბლიკა დე-იურედ სცნეს რუმინეთმა, მოლდავეთმა და აზერბაიჯანმა.

"ნიუ-იორკ თაიმს"-ის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მსოფლიოში ფართოდ ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ნობელის პრემიის ლაურეატის ბ-ნ ჩესლავ მილოშის სტატია, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული პრეზიდენტ ბუშის პოზიცია საქართველოს ლიდერის მიმართ ("საქართველოს რესპუბლიკა", 03.09.91).

**1991 წლის სექტემბერი**

საქართველოში ვიზიტისა და ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან საუბრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა, კონგრესმენმა სემ გიბსონმა 3 სექტემბერს მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. წერილში ვკითხულობთ: "ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, კონგრესის დელეგაციის სახელით მსურს გაუწყოთ, რომ მხარს ვუჭერთ თქვენს სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ. ჩვენ, კონგრესში, ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ თქვენ მიაღწიოთ ამას".

13 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკა დე-იურედ სცნო სომხეთის რესპუბლიკამ ("საქართველოს რესპუბლიკა", 14.09.91).

ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, განათლებისა და კულტურის დარგში გაცვლის არლინგტონის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯერი ტრეიჯერმა (აშშ) საპროტესტო წერილი გაუგზავნა პრეზიდენტ ჯ.ბუშს ("საქართველოს რესპუბლიკა", 13.09.91).

სექტემბრის დამდეგს აშშ-ის კონგრესის წევრმა ბ-ნმა დ.რორაბაკერმა 16 სხვა კონგრესმენთან ერთად წერილობითი თხოვნით მიმართა პრეზიდენტ ჯ.ბუშს. კონგრესმენები ბ-ნ ბუშს სთხოვდნენ ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მიეწვია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზვიად გამსახურდია ("საქართველოს რესპუბლიკა", 10.09.91).

ალბერტის პროვინციის მთავრობის მიწვევით კანადაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია. შეხვედრებისას განხილულ იქნა კანადაში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის საკითხი ("საქართველოს რესპუბლიკა", 19.09.91).

29 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო აშშ-ის პოლიტიკური და საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელთა დელეგაცია. განხილულ იქნა საქართველოს მრეწველობაში ამერიკული ინვესტიციების დაბანდების საკითხები

("საქართველოს რესპუბლიკა", 01.10.91).

**1991 წლის ოქტომბერი**

ოქტომბრის დამდეგს ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო სან-ფრანცისკოს მერის ბ-ნ არტ აგნოსის წერილი, რომელშიც გამოთქმულია საქართველოს პრეზიდენტისადმი მხარდაჭერა. ამასთან, წერილი შეეხებოდა თბილისში სან-ფრანცისკოს წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტს ("საქართველოს რესპუბლიკა", 09.10.91).

ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო დასავლეთში ფართოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის "საპატიო ლეგიონის" ორდენის კავალერი ბ-ნი გიორგი კრასოვსკი (პარიზი). მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად საქართველოში "გაერო"-ს ეგიდით უნდა გამართულიყო აქცია "განიარაღების საერთაშორისო კვირეული კავკასიაში" ("საქართველოს რესპუბლიკა", 29.10.91).

**1991 წლის ნოებერი**

ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ თურგუთ ოზალის მხარდაჭერის წერილი, რომელშიც გამოთქმულია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების სურვილი ("საქართველოს რესპუბლიკა", 23.11.91).

21 ნოემბერს ბ-ნმა ზ.გამსახურდიამ მიიღო თურქეთისა და ირანის წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაციები. საუბარი შეეხებოდა საქართველო - თურქეთსა და საქართველო - ირანს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებას. აღინიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის ამ ორმა ძლიერმა სახელმწიფომ მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს რესპუბლიკის დე-იურედ ცნობისთვის ("საქართველოს რესპუბლიკა", 22.11.91).

**1991 წლის დეკემბერი**

5 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო მოსკოვში აშშ-ის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები: პირველი მდივანი რანდელ დეკიკი და საელჩოს მეორე მდივანი ჯონ ბრეიტერი. საუბარი შეეხებოდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებს, რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებს ("საქართველოს რესპუბლიკა", 06.12.91).

სტრასბურგში ევროპარლამენტის მოწვევით იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ბესარიონ გუგუშვილი. შედგა შეხვედრები ამ გაერთიანების ხელმძღვანელებთან, კომისიათა თავმჯდომარეებთან. დაისახა ევროპარლამენტსა და საქართველოს შორის ეკონომიკის, კულტურის, ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის კონკრეტული გზები.

16 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და მეჯლისმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის დე-იურედ ცნობის შესახებ ("საქართველოს რესპუბლიკა", 19.12.91).

17 დეკემბერს უკრაინის პარლამენტმა დე-იურედ სცნო საქართველოს რესპუბლიკა ("საქართველოს რესპუბლიკა", 19.12.91).

20 დეკემბერს ყაზახეთის პარლამენტმა დე-იურედ სცნო საქართველოს რესპუბლიკა ("საქართველოს რესპუბლიკა", 21.12.91).

20 დეკემბერს ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტმა დე-ფაქტოდ სცნო საქართველოს რესპუბლიკა ("საქართველოს რესპუბლიკა", 21.12.91).

20 დეკემბერსვე საქართველოს რესპუბლიკა დე-იურედ სცნო მონღოლეთმა ("საქართველოს რესპუბლიკა", 21.12.91).

15 დეკემბერს კანადის პარლამენტმა გადაწყვიტა სცნოს საქართველოს რესპუბლიკა.

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრის ჩათვლით, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა სცნეს: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (დე-იურედ. დე-ფაქტოდ ცნობა მოხდა 1991 წლის 9 აპრილს კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციით), საფრანგეთმა (დე-ფაქტოდ), შვეიცარიამ (დე-ფაქტოდ), შვედეთმა (დე-ფაქტოდ), ფინეთმა (დე-იურედ), ინდოეთმა (დე-იურედ), ეგვიპტემ (დე-იურედ), იტალიამ (დე-ფაქტოდ), ისრაელმა (დე-ფაქტოდ), ბრაზილიამ (დე-იურედ), კუბამ (დე-იურედ), ტაილანდმა (დე-იურედ), ბელორუსიამ (დე-იურედ), ალჟირმა (დე-იურედ), ჩინეთმა (დე-იურედ), სლოვენიამ (დე-იურედ), იორდანიამ (დე-იურედ), ხორვატიამ (დე-იურედ), ლიბანმა (დე-იურედ), პაკისტანმა (დე-იურედ), ლაოსმა (დე-იურედ), ირანმა (დე-იურედ), ერაყმა (დე-იურედ), ეთიოპიამ (დე-იურედ), ბურუნდიმ (დე-იურედ), კვიპროსმა (დე-იურედ) ("თავისუფალი საქართველო", 27.12.91; ჟ. "გუშაგი" (პარიზი) №28, 1992, გვ.76).

**პუბლიკაცია მოამზადა**
**ლევან ურუშაძემ**

## შიმშილობა საპატიმროში

22 მარტს ზვიადის პარტიის თავმჯდომარემ ლეილა ცომაიამ შიმშილობა გამოაცხადა ორთაჭალის მიმღების საკანში, სადაც იგი პატიმრობაში იმყოფება. მისი დაკავების მიზეზი გახდა 20 მარტს პარლამენტის შენობის წინ გამართული საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილენიც მოითხოვდნენ "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" ხელახალ ძიებაში დაბრუნებას და ობიექტური სასამართლო პროცესის ჩატარებას, პ. გელბახიანისა და ი.დოკვაძის მიმართ გამოტანილი უსამართლო განაჩენის გაუქმებას. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დროს პარლამენტს მოადგა საქართველოში "ჰალალი" მისიით ჩამოსული რუსეთის თავდაცვის მინისტრის, პ. გრაჩოვის მანქანა თანმხლები კორტეჟით, რომელიც ლამის შეეწირო მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევას.

აქციის დარბევისას მთაწმინდის პოლიციის განყოფილების მუშაკებმა ლ. ცომაიასთან ერთად დააკავეს წმ. ილია მართალის საზოგადოების წევრი ეთერ მგალობლიშვილი, ინესა ფიფია, ანი ჯაფარიძე და გურამ დანელია. მეორე დღეს ამავე რ-ნის სასამართლომ ლ. ცომაიასა და გ.დანელიას მიუსაჯა 10 დღით თავისუფლების აღკვეთა.

26 მარტს მოშიმშილის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მის მდგომარეობას ამძიმებს მიმღების საკანში არსებული არაადამიანური პირობები - ნესტი, სიცივე, ჭერიდან მომდინარე წყალი. 27 მარტს ნათესავების კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ მოშიმშილესთან დაუშვეს ექიმი.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ქ-ნმა ლეილამ განაცხადა, რომ შიმშილობას განაგრძობს სასჯელის მოხდის შემდეგაც.

## შეცდომის გასწორება

"თავისუფალი საქართველოს" N6-ში, სტატიაში "როგორ მოკლეს ვახტანგ გოქსაძე" გაიპარა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომა. პირველი სვეტის ბოლო აბზაცის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ამგვარად:

"რეალურად კი ამ დროისთვის ვახტანგ გოქსაძე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ყვარელში დაკავებული პოლიტპატიმრების ჩვენებების თანახმად, იგი გარდაიცვალა საკანში 1 სექტემბერს, დილის ექვს საათზე".

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N7 (1995) in brief

## Military Agreement Between Russia and Georgia

### Forward to Restoration of the Soviet Union!

On March 20, 1995 the leaders of Military Departments of Russia and Georgia Pavel Grachev and Vardiko Nadibaidze signed the project of 25 year Agreement "On the Military-Strategic Bases of Russian Federation on the Territory of Republic of Georgia". Thus, the process of merging of Russia-Georgia military-strategic spaces entered the decisive phase.

The Agreement consists of Introduction and 41 Articles. It has two Appendixes and special opinion of Georgian party, where the "main trump card" is played - prospect of restoration or territorial integrity of Georgia, which to the mind of officials can become reality thanks to this Agreement.

### Bases in Exchange of Territory

The Note on the order of initializing of the Agreement signed by Vardiko Nadibaidze reads: "Georgian party will consider it possible for the Head of the State to sign and initiate this Agreement after restoration of jurisdiction of Georgia on the whole territory of the Republic of Georgia (considering the fact that the conflicts in South Ossetia and Abkhazia hinder the fulfillment of the statements of the Agreement) and definition of the liabilities of the Russian Federation concerning the construction of military forces of Georgia on the whole territory of the Republic. Proceeding from the mutual understanding achieved in the course of negotiations, the Georgian party raises a question of destroying the arms and military technique which do not belong to the armed forces of the Republic and yet are located on its territory."

It is evident that this note is added to the document to stress the idea that signing of the document will have place only after returning Samachablo and Abkhazia to Georgia. The comments made by Shevardnadze also seem to give such hopes. However for the attentive observer it becomes clear that Shevardnadze has a different approach to this problem - "This document will help us to settle the problem with Abkhazia and South Ossetia".

Does it mean that the initial action will be returning of the territories torn out from Georgia or vice versa : first signing the Agreement and then Samachablo and Abkhazia?!

However that may be, Russia in God knows which time is promising us to settle the territorial problem at the expense of state independence of Georgia.

### Base Sovereignization

Absolutely astounding was the second "global" prognosis of Shevardnadze: "Everything is so rapidly changing in the world, process of integration is proceeding with such a speed that in no time Russia can find itself integrated into Europe and enter the NATO - in such case this 25 year Agreement will be practically annulled, however we should try to be on the safe side..."

How much may this prediction be trustworthy is evident from the growing military aggression of Russia to which testify for example recent events in Azerbaijan, Agreement about military bases made between Russia and Armenia and this document some Articles of which openly state the priority direction - restoration of military-strategic positions of the USSR times.

Even if it were not so, the document defines a very long term of existing of Russian bases - 25 years notifying at the same time that this term "is considered automatically prolonged by another 5 years unless either party informs in written form another party about its decision to suspend the Agreement two years prior expiration of the term."

According to the Agreement (Article 2) the bases will be located in four cities: Batumi, Akhalkalaki, Vaziani, Gudauta, while "Their administrative bodies with military units, sub-units under their direct subordination and commissary and service offices will be located in Tbilisi"

Noteworthy is geopolitical location and significance of these bases: 1. Batumi; 2. Akhalkalaki.

Both these bases are located at the edge of Turkey borderland and it is evident that interests of Russia in this case are based on the vicious principle of "strengthening South frontiers". To what extent creation of two military bases of Russia at the frontier of Turkey, the member country of NATO, is in concord with the interests of Georgia and how the Agreement on the whole is in tune with broadly advertised Project about laying oil pipeline from Azerbaijan via the territory of Georgia or with the recent events in Azerbaijan with Armenia signing the similar Agreement with Russia on the background of strict refusal of Baku? Does not it look like Russia-Georgia-Armenia conspiracy aimed at wrecking of Oil Pipeline Project?

Shevardnadze believes that on the contrary, the Russian bases will guarantee the stability for the business circles of the West. What are these circles thinking about all this remains to be found out.

3. Gudauta - the major military-strategic support of Russians and separatists in Abkhazia. Two year war did not leave any doubts of how effective may be coordinated actions of these two forces having military airport and access to the sea. It is highly improbable for Gudauta to become in future the center of Georgian-Russian Armies cooperation. On the contrary, even in the case of fulfillment of the conditions stated in the Agreement, this base will play the role of sward of Damocles for future generations.

4-5.Vaziani and Tbilisi are indivisible link in controlling central part of West Georgia and the capital. It is obvious that alongside with Vaziani military airport, military units and sub-units under direct subordination of administrative bodies of the bases will form the fifth military base in Tbilisi.

A the same time Article 23 provides a very interesting information: on the one hand it is noted that military officers are wearing hand arms and are using them on the territory of the bases, but then it is pointed out that "hand arms outside the territory of the bases are allowed only with the aim to fulfill those tasks of military service which are related with the regime of ensuring of secrecy..."

What kind of actions or objects are included into the list of secrecy regime remains unknown. Unknown is also to what extent their contents correspond to the international obligations of Georgia and for what goals can be Georgia used. Till these questions are remaining without answers the safety of Georgia is out of question.

### Safety in Europe at the Expense of Georgia

Alarming are some Articles of the Agreement (e.g. Articles 3, 5, 6, 7, 9, 17) concerning those questions which require special agreement. On the one hand, indeed it is impossible for such a document to define such details as amount of military technique to be used during the military exercise, the routs of its displacement etc. But while Article 9 forbids the presence of those Russian military formations on the territory of Georgia which are not included into the bases and at the same time allows exceptions in the form of such cases for which was achieved special agreement without mentioning at which administrative level can be reached such agreement, who will control that entering new military formation do not violate the conditions of the Agreement etc.

Article 6 says that the authorities of Russian bases will create forbidden and safety zones in agreement with the Commander-in-Chief of Armed Forces of Georgia, in other words such an important question is actually solved by agreement with one person. Taking into account the personality of present day Commander-in-Chief it is quite probable that even Svetitskhoveli is included into the forbidden zone and used as a polygon.

Article 34 also envisages definition of jurisdiction and mutual help questions basing on the special agreement. If such is the case, than what is the Agreement good for provided that such basic questions should be solved with special agreement?!

Most noteworthy are the two above mentioned Appendixes:

#1 - On the changing of maximum levels of weapons existing on the territory of Georgia, in concord with Agreement on Restriction of Conventional Weapons in Europe, according to which in concord with the quota determined for Georgia by international agreements, armament of the military formation of Russian Federation is increased at the expense of decreasing of armament of Georgia (amounts are provided). Though Georgian party considers it as its victory that the Agreement itself also contains statement (Article 6) about changing maximum levels of armament basing on the special agreement is it really so vitally important how many tanks owns the metropolis and how many the colony? This document elucidates the true essence of this military alias - Russians ambitions to use Georgia to achieve its imperial goals.

### Who is the Master?

Appendix #2 offers the structure and composition of the military formations on the territory of Georgia. In other words it provides the list of those objects of military and other destinations which should be passed or to be more precise returned to military contingent of Russia. To make a strong impression suffice it to mention the building of the former Officers House located in Rustaveli Avenue in Tbilisi. The list contains total of 91 objects with their addresses. Of those 26 are located in Batumi, 6 - in Vaziani, 8 - in Akhalkalaki, 1 - in Gudauta (?!), 50 - in Tbilisi. In this list airports, motorized rifle, antiaircraft-missile regiments, training centers, communications centers, military warehouses etc. as well as administrative buildings and rest houses (in Makhinjauri), cottages (for example in Kojori), car parking and repair shops, medical institutions, sport clubs, dry cleaners, hotels etc. are considered as the objects of military destination. Both Appendixes are signed by the two Ministers of defense related to each other with the ties of godfather and godson.

### On the rights of Russian Service Men

In the introductory part of the Agreement it is specially stressed that the signing parties unconditionally recognize the sovereignty of both countries, which is nothing but cynicism since the present Agreement itself is the proof of complete ignoring of the state sovereignty and statehood of Georgia on the whole. To illustrate this it is sufficient to consider those Articles of the Agreement where the rights of Russian service men and members of their families are equaled with the rights of the citizens of Georgia.

The Agreement contains many more negative aspects, many problems may be masked and thus require more competent observer. Besides, to find out what this Agreement has in stock for Georgia it should be analyzed in the context of other military agreements made within the framework of The Extended Agreement and in relation to the international norms.

Anna Chavchavadze

## Alexandre Kavsadze"s Press-Conferenc

On February 23, 1995 A. Kavsadze called a press-conference devoted to the situation with human rights in 1994. Mr. Kavsadze was filled with indignation at one letter published in the "Tavisupali Sakartvelo" newspaper which read that the victims of terror were guilty before the nation and country; at the same time the letter contained the protest against terrorist actions and claimed that those people "by no means should be exploded in their own cars or shot down like rabid dogs before the entrances of their own houses".

This letter was followed by the statement of the State Committee of Human Rights where the authors with great indignation noted: "The victims of terrorism are declared criminals!!! ...Such hostile mentioning of great patriot Gia Chanturia is considered (by the Committee) as an insult and the Committee demands that the author of the letter and the newspaper... should bear responsibility before our people. The Committee demands that the respectiv state bodies get interested in this fact. The Committee for its part will officiall set this affair going"...

This statement caused some confusio since the expression "shot down like rabi dogs" was perceived literally while th protest of the Editorial Board failed cause adequate reaction. In relation the above Statement the followin question was asked: "That those peop were qualified as guilty before the natio and country is in fact generalized mora and-political estimation of their activitie Such estimations were quite abundant recent years especially from the opposi camp, they were encountered in offici documents, transmitted by TV and pu lished in press, they were pronounced state officials, even more alongside wi such political estimations very often w violated presumption of innocence..."

Here we were interrupted by M Kavsadze who said: "It is enough" a then for several minutes very exited was dwelling on how cynical a scandalous is when the journalist tries morally justify and like the phrase "sh down like rabid dogs" (from the conte we guessed that we seemed to justify a like the fact of doing such things as wel We even suspected that such an ac reaction could have been aimed at n allowing us to ask our question. T Chairman also stated that between t moral-and-political and juridic estimations did not exist any differenc "Thus, if I tell you that you have stol something from Mr. Kavsadze - it is n allowed, and at the same time if I s that you are a spoiled, immoral and me - that will be quite normal won"t it?".

Then Mr. Kavsadze and his assista popularly explained us that we did n have the slightest idea what a terrorist a is since assassination of the so call "thieves-in-Law" (Chlaidze a Mikeladze) is the result of squaring accounts with each other and thus co not be considered as terrorist actio Where the Committee had got t information from was not specified

Meanwhile Mr. Kavsadze's dep Mr. T. Sharmanashvili declared th the "Tavisupali Sakartvelo" newspa would receive the answer it deser only that would not be done juridica or politically, to which statement M Kavsadze mildly reprimanded: "Teng dear! How can you? You are in t Committee, mind it!".

After several fruitless attempts somehow get included into the monolog of the Committee representatives, we last managed to explain that we had n meant to like the fact of "shooting dow that it was not what we had said in t letter; that we were speaking about guilt before the nation and the countr that such statements and even much wo ones were quite frequently declared the opposite party.

We wondered if Mr. Kavsadze co have recalled any precedent when Committee demanded from the st bodies to interfere in those affairs threatened to oficially set the affair goi To this Mr. Kavsadze answered tha this case were absolutely right, such fa should not be left without reacti whoever the author is. On the ot hand, however, it is very bad that we "democrat journalists... (Pause)... Just journalists support and like phrase "like rabid ...etc." At thos question was considered to be settled

"Marjy" #
Weekly Newspap
March 4

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საабонენტო-ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia